# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 17 თებერვალი. 2022 წ. №26 (9364) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


### საზარბაზნე ხორცი

# სააკაშვილისგან სამშობლოს გაყიდვის საფასური - 4,5 მილიარდი დოლარი!



უკრაინის მხარდამჭერი ჩვენი პარლამენტის რეზოლუციის შემდეგი შინაარსის შეფასებებს – „საქართველოს ჰყავს მხდალი ხელისუფლება... რუსეთის შეეშინდა...“ და სხვა მსგავსი – ერთი პასუხი აქვს: **იდიოტია, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთის შეიძლება არ გეშინოდეს.** მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანაირი გართულების შემთხვევაში, „გოროტების იმპერიის“ პირისპირ მარტო მოგვიწევს დარჩენა.

უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენები ამის საუკეთესო მაგალითია. სამხედრო ინტერვენციის საფრთხეს რომ თავი დავანებოთ, **ერთმა საგედისწერო წუთმა**, მაგალითად, **ერთმა ხელმოწერამ, შეიძლება საქართველოს სოფლის მეურნეობის, ან ენერგეტიკის, ან ორივეს ერთად, სრული პარალიზება მოახდინოს და ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსში მოაქციოს.**

ხელისუფლების ამოცანაა, ყველა სახის მოსალოდნელი გართულებების პრევენცია. **გარე საფრთხეებიდან თავის დაღწევა და გეწვის ხიდზე სიარული, ჩვენი ისტორიული ხვედრია. ამიტომ სიფრთხილე გვმართებს.** შიდა პროვოკატორებისა და სხვა ჯურის მავნებლების წინააღმდეგობების გადალახვაც ამის ნაწილია.

წერილის წინა „მოქმედებაში“ გამოთქმული შეფასება, რომ **საქართველოს ხელისუფლებაზე დასავლელი პარტნიორების სხვადასხვა წარმომადგენლების მხრიდან მუდმივი წნეხი და უწყვეტ რეჟიმში პრობლემებით მანიპულირება იმ მიზანს ემსახურება, რომ მათ საჭიროებას ყოველწუთიერად ვგრძნობდეთ,** რათა „კონტროლიდან არ გამოვიდეთ და კურსიდან არ გადავუხვიოთ“, **ვითარებას სრულად ვერ ახასიათებს,** დამაჯერებლობა აკლია. თუ ყველა ფაქტს ერთ მაგიდაზე მოვუყრით თავს, საკმაოდ რთული (თუ მძიმე არა) რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით. ვეჭვობ, ანალიზი იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენი (ისევე როგორც უკრაინის) ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრება ამ ეტაპზე, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია – **დიდ პოლიტიკურ თამაშებში ჭადრაკს ხანდახან პოკერი ანაცვლებს ხოლმე, თავისი ხან – მაღალოსტატური, ხანაც – ადვილად გამოსაცნობი „ბლეფებით“.**

დასკვნების სიმყარისთვის შიგადაშიგ ისევ ანალოგიები და მაგალითები მოვიშველიოთ. მთავარ ორიენტირად ლიეტუვა-ლატვია-ესტონეთსა და საქართველო-უკრაინა-მოლდოვაში განვითარებულ მოვლენებს შორის პარალელს ავიღებდი. **ბალტიის სამი სახელმწიფოს NATO-ში გაწევრება რუსეთს დიდად არც მაშინ გაუპროტესტებია და არც ახლა იმჩნევს, რომ ამ აქტით „მტრული ალიანსი“ მისი უშუალო მოსაზღვრე გახდა,** ხოლო **ალიანსის გაფართოება ამხელა კავკასიონით გამიჯნული საქართველოს არეალში, თურმე დიდ საფრთხეს უქმნის მშვიდობას მის ქვეყანაში.** რუსეთი მართალია თუ არ არის მართალი, ამას მნიშვნელობა არა აქვს – ასეთია მოცემულობა.

იხ. 3 გვ.

### სალომე ზურაბიშვილი:
## საქართველოსთვის, რომლის მიწა-წყალიც ოკუპირებულია, უკრაინის ეროვნული ერთობის დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია!

**საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით საქართველო უკრაინასთან ერთად დგას.**

**სალომე ზურაბიშვილი „ტვიტერის“ გვერდზე წერს, რომ საქართველოსათვის, რომლის მიწა-წყალიც ოკუპირებულია, უკრაინის ეროვნული ერთობის დღე, მძიმე გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.**

იხ. 2 გვ.

## ევროპარლამენტი გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას!

**ევროპარლამენტი გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას, მხარს უჭერს პარტნიორი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და მოუწოდებს რუსეთს 2008 წლის შეთანხმების შესრულებისკენ და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონტსრუქციულობისკენ. საქართველოზე საუბარია ევროპარლამენტის ანგარიშში საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ.**

**დებატები ევროპის საკანონმდებლო ორგანოში გაიმართა. დოკუმენტში სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ევროკავშირის როლის გაზრდის აუცილებლობაზეა საუბარი. ევროპარლამენტი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს და გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას.**

**გმობს საოკუპაციო ძალების მხრიდან პროვოკაციებს, მიმდინარე ბორდერიზაციას, ადამიანთა გატაცებებს, მკვლელობებსა და უკანონო დაკავებებს. ევროპარლამენტის დოკუმენტში აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მნიშვნელობაზე, ასოცირების ხელშეკრულებაზე და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებზე ცაკლე ჩანაწერია.**

## იენს სტოლტენბერგი: რუსეთი არ წყვეტს, ვინ გახდება ნატოს წევრი, ამას ალიანსის 30 წევრი წყვეტს ②

## მატყუარა ტელებორდელები უკანონობას ახალისებენ ④

### კახა კალაძე: ნუ გვაბრალებთ იმას, რასაც არასოდეს ვიკადრებთ!



## ყველაზე დიდი კორუფციონერი კეზერაშვილი აფინანსებს „ანტიკორუფციულ“ ბიუროს, რომელსაც მართავს ასევე კორუფციონერი, ქაჯი, კლოუნი ხაბეიშვილი ④



## „დონ-კიხოტი დროდადრო სუყოველ ჩვენგანში ბრუნდება“...

იხ. 6-7 გვ.



კახი კავსაძის სტუმრის ვასილი ლივანოვის ინტერვიუ და სხვა



# უკრაინას ერთიანობის დღეს ვულოცავთ!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, **შალვა პაპუაშვილი** უკრაინას ერთიანობის დღეს ულოცავს. განცხადება შალვა პაპუაშვილმა ბიუროს სხდომაზე გააკეთა.

**„14 თებერვალს, უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებით, 16 თებერვალი გამოცხადდა უკრაინის ერთიანობის დღედ და მსურს, ამ მძიმე პერიოდში უკრაინისთვის, ეს დღე მივულოცო ჩვენს უკრაინელ დებს და ძმებს. დღუშინ უკრაინის საელჩოში გაიმართა დროშის აღმართვის ცერემონიალი, რომელსაც დაესწრო პარლამენტის ვიცე-სპიკერი და საქართველო-უკრაინის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი არჩილ თალაკვაძე. უკრაინელ ხალხს ვუსურვებთ მშვიდობას და მხნეობას ამ მძიმე პერიოდში“.**

# მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ერთად დავიცვათ ჩვენი სახლი



**ვლადიმირ ზელენსკიმ უკრაინის მოქალაქეებს ერთიანობის დღესთან დაკავშირებით მიმართა და აღნიშნა, რომ უკრაინელებს მშვიდობიანად ცხოვრების სრული უფლება აქვთ.** გავრცელებულ ტელემიმართვაში უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყნის მოქალაქეები მხოლოდ ერთად შეძლებენ საკუთარი სახლის დაცვას.

**„დიდი ქვეყნის დიდო ერო, დილა მშვიდობისა! დღეს მნიშვნელოვანი დღეა — ყველას ერთიანობის დღე. ჩვენ ვართ განსხვავებულები, სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სქესის, სხვადასხვა ქალაქიდან, რეგიონიდან, სხვადასხვა პროფესიის, განსხვავებული ნიჭის, განსხვავებული ცოდნის, ენების, რელიგიის, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს ერთი სურვილი: ვიცხოვროთ მშვიდად, ბედნიერად, როგორც ერთი ოჯახი, ბავშვებთან, მშობლებთან. და ჩვენ გვაქვს ამ ყველაფრის სრული უფლება, რადგან სახლში ვართ, უკრაინაში ვართ. და არავის არ შეუყვარდება ჩვენი სახლი ისე, როგორც ჩვენ გვიყვარს. და არავის, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ერთად დავიცვათ ჩვენი სახლი“,** — აღნიშნა ზელენსკიმ. ერთიანობის დღე გუშინ მთელ უკრაინაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა.



# ნებისმიერ აგრესიას და მუქარას წინააღმდეგობა ერთიანობით უნდა გავუწიოთ

**სამწუხაროდ, დღეს არასასიხარულო ამბავთან დაკავშირებით შევიკრიბეთ, მაგრამ, მოხარული ვარ, რომ ყველანი ერთად ვართ. ჩვენ მადლიერები ვართ საქართველოს მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროსი და საქართველოს საელჩოსი უკრაინაში, რომ ისინი არიან იქ, ადგილზე,** — განაცხადა უკრაინის ელჩმა საქართველოში იგორ დოლგოვმა. მისი თქმით, ნებისმიერ აგრესიას წინააღმდეგობა ერთიანობით უნდა გავუწიოთ.

**„პრეზიდენტმა ზელენსკიმ ორი დღის წინ გამოსცა ბრძანება, რომ 16 თებერვალი გამოცხადებულიყო ერთიანობის დღედ. ეს არის არამხოლოდ ჩვენი, არამედ ერთიანობა ჩვენს ძმებთან და მეგობრებთან - თქვენთან, ძვირფასო ქართველო ხალხო. ნებისმიერ აგრესიას და მუქარას, სწორედ ერთიანობით უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა. საქართველოს ჰიმნიც სწორედ ამ სიტყვებს მოიცავს — „ძალა ერთობაშია“. ის, რომ ახლა უკრაინაში სროლა არ არის, იმის დამსახურებაა, რომ ჩვენ ერთად ვართ. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები დაგვეხმარნენ იარაღით, ასევე — მორალურად და ფინანსურად. არც ჩვენ და არც საქართველომ უარი არ თქვა მისწრაფებაზე, რომ უნდა ვიყოთ ნატოში, რაც ჩვენი სუვერენული არჩევანია“,** — განაცხადა დოლგოვმა.

# იენს სტოლტენბერგი: რუსეთი არ წყვეტს, ვინ გახდება ნატოს წევრი, ამას ალიანსის 30 წევრი წყვეტს



— განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

**„ალიანსის წევრებმა ეს პრინციპი მკაფიოდ დაადასტურეს. პატივი უნდა ვცეთ ევროპაში თითოეული ქვეყნის უფლებას, თავად აირჩიოს საკუთარი გზა. ფინეთი და შვედეთი ნატოს ახლო პარტნიორები არიან, თუმცა ნატოში გაწევრებაზე განაცხადს არ აკეთებენ. ამასთანავე მათ მკაფიოდ განაცხადეს, რომ ნატო ხელს ვერ მოაწერს იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას არგაფართოების შესახებ. ეს პრინციპი არა მხოლოდ ნატოს წესდებაში, არამედ ჰელსინკის საბოლოო აქტშიცაა გაწერილი“...**

# აშშ ნატოს ტერიტორიის თითოეულ სანტიმეტრს სრული ძალით დაიცავს



ჯო ბაიდენის თქმით, შეერთებული შტატების ერთგულება ნატოს წესდების მე-5 მუხლისადმი წმინდაა.

**„მსურს, მკაფიოდ განვაცხადო: აშშ ნატოს ტერიტორიის თითოეულ სანტიმეტრს სრული ძალით დაიცავს. ალიანსის ერთ-ერთ ქვეყანაზე ნებისმიერი თავდასხმა ყველა წევრზე თავდასხმაა. ეს პრინციპი წმინდაა. მე უკვე გავაგზავნე დამატებითი ძალები ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე. ჩვენ განვაგრძობთ წვრთნებს ჩვენს პარტნიორებთან ერთად“,** — აღნიშნა ჯო ბაიდენმა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამბობს: **მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით.**

# სეპარატისტული რეგიონების აღიარება იგივე თავდასხმაა



**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟან-ივ ლე დრიანმა განაცხადა, რომ თუ რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში ორ სეპარატისტულ რეგიონს აღიარებს, ეს იარაღის გარეშე თავდასხმა იქნება.**

15 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო დუმამ დადგენილება მიიღო, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტს მოუწოდებს დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ აღიაროს. საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მტკიცედ გმობს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებას, მიმართოს პრეზიდენტ პუტინს, აღიაროს დამოუკიდებელ სუბიექტებად უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის მხარეები, რომელსაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.



# რუსეთს არ უნდა ომი და მზად არის მოლაპარაკების პროცესის დასაწყებად

**რუსეთს ომი არ სურს და მოლაპარაკებისთვის მზადაა,** — ეს განცხადება კრემლის ლიდერმა გერმანიის კანცლერთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ ბრიფინგზე გააკეთა. პუტინმა უკრაინის ხელისუფლება დონბასის მოსახლეობის გენოციდში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ რუსეთი დონბასის პრობლემის მოსაგვარებლად ყველაფერს გააკეთებს, თუმცა შეეცდება, მინსკის შეთანხმების არარეალიზებული შესაძლებლობები ბოლომდე გამოიყენოს.

კრემლის ლიდერმა კომენტარი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ დონეცკისა და ლუგანსკის აღიარების შესახებ რეზოლუციის მიღებაზეც გააკეთა. მისი თქმით, დუმის მიერ მხარდაჭერილი რეზოლუცია რუსი საზოგადოების განწყობას ასახავს.

# გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი ღარიბაშვილი ნავთობის გადაზიდვის სექტორში კონკრეტულ კომპანიებს ლობირებს და რაიმე სახის ინტერესები აქვს, სრული დეზინფორმაციაა

**საქართველოს მთავრობის სტრატკომი ეხმაურება ცალკეული მედიასაშუალებებისა და ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნავთობის გადაზიდვის სექტორში კონკრეტულ კომპანიებს ლობირებს და რაიმე სახის ინტერესები აქვს.**

მათი შეფასებით, ეს არის სრული დეზინფორმაცია, რომლის გავრცელება წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის დისკრედიტაციის მცდელობას.

**„აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ყალბი ინფორმაცია ცალკეულმა მედიასაშუალებებმა 2020 წლის მაისშიც გაავრცელეს, რასაც პასუხი გაეცა. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, ეს არის ცრუ და გაურკვეველ ინფორმაციაზე დაყრდნობით გარკვეული პოლიტიკური დღის წესრიგით შეთითხნილი ბრალდება, რომელსაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია. პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ირაკლი ღარიბაშვილს სამსახურებრივი შემხებლობა ჰქონდა ბევრ ადამიანთან, მათ შორის ნახსენებ პიროვნებასთან, აკაკი ჩხენკელთან. ეს პირი გახლდათ მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, 2013 წლის 13 დეკემბრიდან 2014 წლის 8 დეკემბრამდე და თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.**

**ამ პერიოდის შემდეგ პრემიერ-მინისტრს მასთან არანაირი სახის ურთიერთობა აღარ აკავშირებს. შესაბამისად, ეს ვარაუდი თუ ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა“,** — ნათქვამია მთავრობის სტრატკომის განცხადებაში.

# ბადრი ჯაფარიძე „ერთიან ფრონტს“ ქმნის!



„ლელოს“ ლიდერი, ბადრი ჯაფარიძე, რომელიც რუსთავის მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს, ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

**„დავინახე ამის პირდაპირი საჭიროება, გამომდინარე იმ მხარდაჭერისგან, რომელიც საზოგადოებისგან ვიგრძენი, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მათ. ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ ოპოზიციისგან, და ჩავთვალე, რომ ეს არის ჩემი პასუხი მხარდაჭერაზე.**

**მთავარია, ყველა ოპოზიციონერ კოლეგასთან მოხდეს შეთანხმება. უნდა მოხდეს ამ არჩევნებში გაერთიანებული ძალებით მონაწილეობა. ყველა ოპოზიციონერს მოვუწოდებ, რომ ვიფიქროთ ერთიან ფრონტზე, გაერთიანებულ ძალისხმევაზე. მზად ვარ, კონსულტაციები მქონდეს ყველასთან“,** — განაცხადა ჯაფარიძემ.

# ოპოზიცია კიდევ ერთხელ გაფარჩაკდა!

**პარლამენტში საგამოძიებო კომისიების შექმნას ოპოზიცია ვერ ახერხებს. მიხეილ სააკაშვილის საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ამ ეტაპზე მხოლოდ 49 მომხრე ჰყავს, რაც საკმარისი არაა.**

„ნაციონალური მოძრაობა“ დახურული სიების გახსნას მოითხოვს იმისთვის, რომ ოპოზიციას გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა ჰქონდეს.



**„ჩვენი მოთხოვნა სწორედ იმას უკავშირდებოდა, რომ ადგილმონაცვლეებს მივცეთ საშუალება, რომ განახორციელონ ის უფლებამოსილება, რომელიც მიანიჭა მათ ხალხმა. მათი მიზანია, რომ არ შეიქმნას საგამოძიებო კომისია. აუცილებლად გავაგრძელებთ ამასთან დაკავშირებით მუშაობას, ყველა იმ ოპოზიციურ ძალასთან, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში“,** — თქვა გიორგი ბოტკოველმა.

(პირველი გვერდიდან) რუსეთის მიზნების გამოხატვის პარალელურად, ვნახოთ, როგორი იყო და არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებები: მისი ჩართულობა ბალტიისპირეთის ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში იღებს სათავეს. **დემოკრატიზაციის პროცესი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ახალი ხელისუფლებების მოსვლის პირველივე დღეებიდან მოვიდა მოქმედებაში და თითო საპარლამენტო ციკლში შეიძინა შეუქცევადი სახე.** იმავდროულად, **საქართველოს ახლადშობილი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, დასავლური სამყაროს მხრიდან ბედის ანაბარა იქნა მიტოვებული და როგორც ჟანრის კლასიკა მოითხოვდა, რეალური პოლიტიკის სადავეები ეშმაკების, ანუ რუსების ხელში აღმოჩნდა.** დაუძლეველი პრობლემების პროვოცირება და ფულის, იარაღისა და აგენტურის მეშვეობით მართვა და ამ გზით პოლიტიკური პროცესის სასურველ კალაპოტში მოქცევა - ასეთი გახლდათ ახალი ეტაპის დასაწყისი.

მხოლოდ ამის შემდეგ, **ეროვნული პოლიტიკური სუბიექტებისგან გაწმენდილ გარემოში იწყება აშშ-ის ჩართულობა.** ანუ **თავიდანვე დგება ზესახელმწიფოების ტანდემი და ორმხრივი „ინტერესთა გამოხატვა“ წითელ ხაზად გასდევს მოვლენათა მთელ შემდგომ განვითარებას.**

იმას, რაც 1991-2003 წლებში საქართველოში ხდებოდა, არავითარი კავშირი არა აქვს დემოკრატიასთან, სახელმწიფო ინსტიტუტების შენებასთან და ზოგადად, აღმშენებლობასთან და სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებთან. თვალსაჩინოებისთვის, მარტო იმის გახსენებაც იკმარებს, რომ **დროის ამ მონაკვეთში ჩატარებული ყველა არჩევნები არნახული მასშტაბებით იყო გაყალბებული ჟვანია-სააკაშვილი-მაჭავარიანი-გოგორიშვილის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიებით. რაც ყველაზე მთავარია, ეს ხდებოდა ამერიკელი „მეგობრების“ თვალწინ და კიდევ უფრო მთავარი - მათი უშუალო ჩართულობით.** აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ ამ პერიოდის, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ კორუფციის უმაგალითო ზეობის ხანას, ყველა ფინანსთა მინისტრი იყო ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორების“ გუნდიდან.

**ლიეტუვა-ლატვია-ესტონეთისგან განსხვავებით, იმ ავადსახსენებელ 90-იან წლებში მთელი ძალისხმევა,** თუ ჭაბუა ამირეჯიბს დავესესხებით, **კაციჭამია ვირთხების გამოყვანას დაეთმო. მხოლოდ სულიერებისა და იდეალებისგან დაცლილ, უსახო, უჯიშო, უსისხლო და უსქესო არსებებს შეეძლოთ ქვეყნის წინაშე იმ ღალატისა და დანაშაულების ჩადენა, რომლის მოწმე და მსხვერპლიც ვიყავით 2003-2012 წლებში.**

საკვანძო მომენტი 2008 წლის აგვისტოში დადგა – **მოხდა დიდი გადანაწილება, საიდანაც მოგებული გამოვიდა რუსეთიც, ამერიკაც, ევროპაც და ნაცხელისუფლებაც, მხოლოდ საქართველო და ქართველი ხალხი დარჩა წაგებული.** „კონდოლიზა რაისი აფრთხილებდა“, ან კიდევ, „რიჩარდ მაილსი შეშფოთებული იყო“, თამაშის ნაწილია და ისეთივე თვალში ნაცრის შეყრაა, როგორიც, მანამდე, პირსისხლიანი დიქტატორის „დემოკრატიის შუქურად“ წარმოჩენა იყო. პირველი – **ნული პროცენტია იმის შანსი, რომ სააკაშვილი იმ ავანტიურაში ჩართულიყო შეთანხმებისა და პირადი გარანტიების გარეშე;** მეორე – **სამხედრო პროვოკაცია შეთანხმებული რომ არ ყოფილიყო, მას პრეზიდენტად არავინ დატოვებდა;** და მესამე – **არათუ პრეზიდენტად დატოვეს, არამედ, მოსალოდნელი გართულებებისა და კრიზისების გადასაფარად, ანუ ხალხის რისხვისგან თავის დასაღწევად, დამატებით გამოუყვეს 4,5 მილიარდი დოლარი(!).** ასეთი გახლდათ სამშობლოს გაყიდვის საფასური.

თითქოს, განსაცდელს შიდა პროცესებზე მაინც უნდა მოეხდინა დადებითი გავლენა, ხალხს შიშისგან და ტერორისგან ცოტა შვება მაინც უნდა ეგრძნო... მაგრამ თურმე სადა ხარ, ბიძინა დვალო?.. აღმოჩნდა, რომ დიდი თამაში ამით არ მთავრდებოდა. **თურმე საქართველოს (უკრაინის მსგავსად) მუდმივი ვაჭრობის საგნის როლი ჰქონია განსაზღვრული, საჭიროების შემთხვევაში კი - საზარბაზნე ხორცის.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 20, 21

ღვთისმშობლის მფარველობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ განგებამ ბიძინა ივანიშვილი მოგვივლინა და ჰორიზონტზე სულ სხვა საქართველოს პერსპექტივა გამოჩნდა. ახალი პოლიტიკური მმართველობის ნებიდან გამომდინარე, თანდათან და თანმიმდევრულად, დაიწყო ნამდვილი დემოკრატიზაციის, ანუ დასავლური ღირებულებების დანერგვის შეუქცევადი პროცესი. „ქართული ოცნების“ გულწრფელ არჩევანს ბევრი, მათ შორის გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობა ხვდება. სამწუხაროა, რომ ხელოვნური ბარიერების აგებაში ის სუბიექტებიც მონაწილეობენ, ვისი დახმარების იმედიც გვქონდა და გვაქვს.

**საქართველოს მომავლის განსაზღვრაში,**



# სააკაშვილისგან სამშობლოს გაყიდვის საფასური – 4,5 მილიარდი დოლარი!

**2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი 2020-21 წლები იყო,** საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, სამი კრიმინალის განთავისუფლებით დაწყებული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მმართველი პარტიის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადებით, „თუ საქართველო სახელმწიფოა“, დამთავრებული. **საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, ღირსეულად გაუძლო კომპლექსური ხასიათის შემოტევებს შიგნიდან თუ გარედან და საზოგადოებაში გაამყარა სტაბილურობის განცდა.**

მივყვეთ თანმიმდევრობით – ვფიქრობ, ამოსავალ მომენტად მ. სააკაშვილის დაბრუნებას (როგორც კულმინაციას) თუ ავიღებთ და აქედან შევუდგებით კვანძის გახსნას, ბევრ დაფარულს ავხდით ფარდას. **საერთო აზრია, რომ პრეზიდენტყოფილის ჩამოსვლის მიზანი არეულობის ორგანიზება იყო.** შორს ვარ იმ შეფასებებისგან, რომ „მიშა ვიღაცამ შეაცდინა“, რომ „არასწორ ინფორმაციებს აწვდიდნენ“, რომ „უკრაინაში აღარ ედგომებოდა“ და ა.შ. თუ მოვლენათა განვითარებას ობიექტური თვალით დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ,რომ **ახალი ფერადი რევოლუცია, ანუ „ვარდების რევოლუცია №2“ დიდი გულმოდგინებით, დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.**

მივყვეთ ფაქტების გამყარებულ ლოგიკურ ჯაჭვს, თითებზე შეყინული ხინკლის წვენის ეპიზოდიდან უკან: დავსვათ რამდენიმე მარტივი კითხვა – **1. რა შეიძლება გამხდარიყო არეულობის ორგანიზების საფუძველი?** ამ კითხვაზე პასუხიც მარტივია – **თვითმმართველობის არჩევნების შედეგები; 2. უფრო კონკრეტულად? – „ქართული ოცნების“ მიერ 43%-იანი ნიშნულის ვერ დაძლევა.**

გავაკეთოთ შუალედური დასკვნა – უკრაინაში „მიმალვაში“ მყოფმა, საქართველოს №1-მა მტერმა, თავის მრავალსუბიექტიან კასტასთან ერთად, ლობისტებთან კონსულტაციით გადაწყვიტეს, რომ მათი მრავალსაფეხურიანი მომზადების ციკლი დასასრულს მიუახლოვდა. არეულობის ნიადაგის შემზადებისთვის აუცილებელი ყველა ნაბიჯი გადადგმულია, როგორც სამართლებრივი (ფსევდოსამართლებრივი), ისე ორგანიზაციული კუთხით, დასკვნით ფაზას წინ აღარაფერი უდგას...

**დავუბრუნდეთ ისევ კითხვა-პასუხის რეჟიმს:**

3. საიდან მოვიდა ე.წ. „სარეფერენდუმო“ 43% ? – „სარეფერენდუმო“ 43% ჰაერიდან მოიტანეს ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ – ელჩებმა, კელი დეგნანმა და კარლ ჰარცელმა, აგრეთვე, კარლ ბილდტის „ნდობით აღჭურვილმა“ კრისტიან დანიელსონმა და ევროპრეზიდენტმა შარლ მიშელმა;

4. რას ნიშნავს „ჰაერიდან მოიტანეს“? – ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული „ინიციატივა“ არის უპრეცედენტო ფაქტი მსოფლიო პოლიტიკის პრაქტიკაში და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან სრულად არის გასული.

5. იქნებ, მეტი სიცხადისთვის, ისევ დასკვნით ფაზას დავუბრუნდეთ?.. – 19 აპრილის ხელშეკრულებით მოქმედებაში მოვიდა ბრძოლა წესების გარეშე. **გეგმა მთლიანად იქით იყო მიმართული, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დე-ფაქტო ანულირება მომხდარიყო.** კიდევ ერთხელ გავიმეორებ, კონსტიტუციის სრული უგულებელყოფით ხდებოდა თვითმმართველობის არჩევნების(?) მიბმა(?) საპარლამენტო არჩევნებთან(?).

შუალედური დასკვნა 2 – **ყველაფრიდან ჩანს, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგებით მთელი ჩვენი „სამეგობრო“ იმედგაცრუებული დარჩა.** არავინ ელოდა, რომ „ოცნება“ მესამე ვადით, თანაც მაღალი პროცენტით, კიდევ ოთხი წლით გაიხანგრძლივებდა ხელისუფლებაში ყოფნას. გეგმების შედგენაში დახელოვნებულ სტრუქტურებს, არგამართლების შემთხვევაში, თადარიგში ყოველთვის მოეძევება **გეგმა B**: „მწარე“ რეალობაზე კითხვის ნიშნების გასაჩენად, ბრძოლა არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყო. ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად, მოქმედებაში მოვიდა ათასგვარი წინასწარ მომზადებული ინსინუაციები და მანიპულაციები.

**ასეთ შემთხვევებში, მარტივი გამოსავალი ვითარების ობიექტურ შეფასებაში ძევს! თუ პარტნიორი გქვია და პროცესს სამართლიანობის და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე უყურებ, მოქმედება აქედან უნდა დაიწყო.** ამის შემდეგ, **მანიპულატორს უნდა მოსთხოვო დესტრუქციის დასრულება.** ჩვენ კი რა ვიხილეთ? – არჩევნები სამართლიანი კი იყო და ესენი ნამდვილად არ არიან წმინდა წყლის დამლევები, მაგრამ... რა ვქნათ, იმდენი ფული და იმდენი ოფლი გვაქვს ჩაღვრილი ამათი ჯიშის გამოყვანაზე, რომ... **„ნაძირალები კი არიან, მაგრამ – ჩვენი ნაძირალები“** არიანო და ასეა ეს საქმეო!

19 აპრილის შეთანხმება, ისევე როგორც 8 მარტის შეთანხმება, ცალმხრივი კომპრომისების დოკუმენტის სახით მოევლინა დღის სინათლეს. ჩვენი ბავშვობის საყვარელ ზღაპარში რომ არის, ოღონდ პირიქით – **ზღვები და კლდეები ხომ გადავლახეთ, ამჯერად სავარცხელი გადმოაგდეს და „ოცნების“ წინაშე უღრანი ტყე აღიმართა.** მარტო ე.წ. შეთანხმებას ვინ ჩივის, ამხელა საფანჩატურეთს გადაბირებული პრემიერი დაამატეს და უშუალოდ არჩევნების წინა დღისთვის, სააკაშვილის კარტის გათამაშების ოპერაციაც დაგეგმეს, როგორც დასკვნითი აკორდი თუ ბოლო ლურსმანი.

**როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა, დიდი სიამოვნებითა და დიდი სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ მმართველმა პარტიამ დიდოსტატურად დაძლია ყველა ხელოვნური ბარიერი და ძახილის ნიშნით, შექმნილ ვითარებაში (ბიძინა ივანიშვილის გარეშე და გახარიას ღალატის პირობებში) ბევრისთვის რთულად წარმოსადგენი 47%-იანი შედეგით, იმედები გადაუწურა საქართველოს ყველა არაკეთილმოსურნეს.**

ამ ვრცელ წერილს რეფრენივით გასდევდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის მთავარი დასკვნა, რომ რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, დასავლური სტრუქტურები თავს იკავებენ მათ დიდ ოჯახში საქართველოს მიღებისგან, მაგრამ ამის აღიარება უჭირთ და გვიქმნიან ხელოვნურ ბარიერებს, რომ ამ გაუბედაობის მიზეზად ჩვენ გამოგვიყვანონ. თავისთავად, მძიმე დასკვნაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით არ მთავრდება ყველაფერი...

**ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ხალხისთვის ურცხვად თავსმოხვეული „რეფერენდუმი“ სხვა შედეგით დამთავრებულიყო...** იმ შემთხვევაში, **საპროტესტო გამოსვლებს ექნებოდა გარე მხარდაჭერაც, „პირობების შესრულების“ მოთხოვნით და ტალღა აუცილებლად, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე მიგვიყვანდა,** სადაც, როგორც წესი, „ამგორებელს“ მეტი შანსი აქვს ხოლმე. ანუ, **ქვეყნის სათავეში მივიღებდით ნაცურ კოალიციას ადვილად წარმოსადგენი მძიმე შედეგებით.**

ამ პანდემიის პირობებში, თუ ვინმეს ხალხთან ურთიერთობა უწევს, ყველა დამეთანხმება, რომ უკრაინის მოვლენების ფონზე, ქართველ საზოგადოებაში ინტენსიურად დაისმის კითხვა, **რა მოხდებოდა დღეს, ცნობილი ორმაგი აგენტის, აგვისტოს ომის „შემოქმედის“, სააკაშვილის მმართველობის პირობებში** და თვითონვე პასუხობს, რომ **საქართველო იქნებოდა ესკალაციის მეორე ეპიცენტრი(!)** – ერთიანად და ერთხმად პასუხობს, კითხვის ნიშნების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგისთვის ერთმნიშვნელოვნად, ზოგისთვის კი ვარაუდის დონეზე, იკვეთება მეორე მთავარი დასკვნა – **ახალი „ფერადი“ გადატრიალება იმ მიზანს ხომ არ ემსახურებოდა, რომ რეგიონში გაჩენილიყო ომის დამატებითი კერა?!**

**დიდება უფალს, რომ ეს ასე არ არის!**

**ბიძინა დვალი**

14.02.2022 წ.




# ყველაზე დიდი კორუფციონერი კეზერაშვილი აფინანსებს „ანტიკორუფციულ“ ბიუროს, რომელსაც მართავს ასევე კორუფციონერი, ქაჯი, კლოუნი ხაბეიშვილი



**...ის, რომ ჯერ კიდევ შარშან საქართველოში დააკავეს ე.წ. ქოლ-ცენტრების კრიმინალური დაჯგუფების 7 წევრი – ჩვენი სპეცსამსახურების თავის საერთაშორისო პარტნიორებთან ნაყოფიერი მუშაობის ნათელი მაგალითია“...**

ის, რომ ქვეყნის სპეცსამსახურები პროკურატურასთან ერთად საკუთარ საქმიანობას არ აფიშირებენ ფეიკ-ტელე-მედია სივრცეში – არამედ უხილავ რეჟიმში წარმატებულ საქმიანობას ეწევიან, არის ამ სტრუქტურების რეალური სახის, ეფექტურობისა და წარმატების უტყუარი ინდიკატორი.

**ის რომ ჯერ კიდევ შარშან საქართველოში დაკავებული იქნა ე.წ. ქოლცენტრების კრიმინალური დაჯგუფების 7 წევრი – ჩვენი სპეცსამსახურების თავის საერთაშორისო პარტნიორებთან ნაყოფიერი მუშაობის ნათელი მაგალითია. ექვს მათგანს წარედგინა ბრალდება თაღლითობისთვის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 194-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ცხრიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მხოლოდ ამ ერთი ჯგუფის მიერ დანაშაულებრივი სქემით განხორციელდა თაღლითურად დაუფლებული 9,490,991 ევროს, 716 642 აშშ დოლარის და 218 000 ბრიტანული ფუნტი სტერლინგის ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ბრალდებულებმა სრულყოფილად ითანამშრომლეს გამოძიებასთან და მოგვაწოდეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია კრიმინალური ქსელის „გერმანია-ესპანეთი-შვედეთის“ ლოკაციებზე ჩადენილი ფინანსური მაქინაციების თაობაზე, რასაც ხელმძღვანელობდა უკრაინაში მოღვაწე დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორი, ისრაელის მოქალაქე დავით თოდუა.**

**ბრალდებულებმა, ასევე, სრულად ამხილეს ამ ტრანსნაციონალურ დანაშაულში ისრაელის მოქალაქეები, მამა-შვილი იაკობ და ნადერ გოვერების მონაწილეობა, რომლებიც საერთაშორისო ძებნაში იმყოფებოდნენ – ამჟამად კი ერთ-ერთი მათგანი – იტალიაში, ხოლო მეორე პორტუგალიაში იქნა დაკავებული. სწორედ მამა-შვილ გოვერებს ქოლცენტრი საქართველოში ჰქონდათ გახსნილი („ოუფენ ჰაბი“), მუშაობდნენ გერმანიის მიმართულებაზე – ერთს ებარა აი-ტი-ს სეგმენტი, ხოლო მეორეს – მთლიანად ქოლ-ცენტრის საქმიანობა. მათთან ერთად აღნიშნულ კრიმინალურ საქმიანობაში ასევე იყო ჩართული ვინმე პაველ კოტლერი და იური დაშევსკი. სწორედ ამ და სხვა უკანონო შემოსავლებით, ყველაზე კორუმპირებული ადამიანი დავით კეზერაშვილი ამჟამად აფინანსებს ლევან ხაბეიშვილის „ანტიკორუფციულ“ ორგანიზაციას.**

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველაზე დიდი კორუფციონერი და ელიტური კორუფციის ფუძემდებელი კეზერაშვილი აფინანსებს „ანტიკორუფციულ“ ბიუროს, რომელსაც, ასევე, მართავს კორუფციონერი, თაღლითი და კლოუნი ხაბეიშვილი. შაპიტო In Action!

**დავით ქართველიშვილი**

# „ავშენდით, 1 მარტს თავისუფლდება“!..

## ბაჩო ახალაია თანაგუნდელებს ერთხელაც არ გახსენებიათ!



**„ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი მაღალჩინოსანი ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დაწესებულებას 1 მარტს დატოვებს. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა 9-წლიანი სასჯელი სრულად მოიხადა. იმის მიუხედავად, რომ ახალაია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდში მაღალ თანამდებობას იკავებდა, დღეს მას თანაგუნდელები აღარ ახსენებენ.**

სწორედ ამიტომ დავინტერესდით, შეუერთდება თუ არა **ბაჩო ახალაია** „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ ისიც, ასევე ყოფილი მაღალჩინოსანი **ვანო მერაბიშვილივით** ჩრდილში მოექცევა?! ამ კითხვით ანალიტიკოსებს მივმართეთ და როგორც ექსპერტებმა განაცხადეს, ახალაია თანაგუნდელებზე შესაძლოა, განაწყენებული იყოს, რადგან მას როგორც პოლიტპატიმარს, არ მოიხსენიებენ და ამიტომ არ გამორიცხავენ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი „ნაცმოძრაობას“ განუდგეს.

**– ვფიქრობ, ბაჩო ახალაია პროცესებში აქტიურად არ იქნება ჩართული, თან როგორც მე ვიცი, ამის შესახებ თავადაც განაცხადა. გარდა ამისა, მისი პატიმრობა გარკვეულწილად ჩრდილში იყო მოქცეული. როდესაც ნიკა მელია და გიორგი რურუა დაკავებულები იყვნენ, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მათზე უფრო საუბრობდნენ და მეტი მოთხოვნა იყო, რომ ეს ადამიანები ციხიდან გამოეშვათ, ხოლო, ბაჩო ახალაიაზე ნაკლებად იყო საუბარი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, თავიდან, როდესაც 2013-2014 წლებში მისი სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, მაშინ ეს თემა უფრო აქტუალური იყო. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფაქტორის გამო, მან არ ითანამშრომლოს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად არ ჩაერთოს, ისევე როგორც ვანო მერაბიშვილი. შეიძლება ჩემი პროგნოზი არ გამართლდეს,** – განუცხადა For.ge-ს **ნიკა ჩიტაძემ**, რომელიც ასევე არ გამორიცხავს, რომ ახალაია კეზერაშვილის გვერდით დადგეს.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილს** უჭირს მსჯელობა, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს, **ნიკანორ მელიას ბაჩანა ახალაიას** მიმართებაში თუ რა გეგმები აქვს. ამიტომ ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ბაჩო ახალაია ყოფილ თანაგუნდელებზე განაწყენებულია და განაწყენებული ექსმაღალჩინოსანმა გეზი ევროპაში ძმისკენ აიღოს.

**„ბაჩო ახალაიას შეიძლება ლოგიკური და გონივრული წყენა გააჩნდეს თავის თანაგუნდელებზე, რადგან წლებია გასული და მის თანაგუნდელებს ის ერთხელ არ გახსენებიათ, მით უმეტეს გასულ ორ წელიწადში, როდესაც ყველანაირად შეეცადნენ, რომ საერთაშორისო დონეზე აეყვანათ ე.წ. პოლიტპატიმრების საკითხი და ამ რიცხვს მიაკუთვნეს სამი ადამიანი - ირაკლი ოქრუაშვილი, გიგი უგულავა და გიორგი რურუა. თავისუფლად შეეძლოთ იქ მეოთხეც შეეყვანათ – ბაჩანა ახალაია, მაგრამ ეს არც ერთს თავში არ მოსვლია. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულწილად, აღიარებენ ყველა იმ სისტემურ სისხლიან დანაშაულს, რომელსაც პენიტენციურ სისტემაში თუ სააკაშვილის სამართალდამცველ ორგანოებში მართლაც ჰქონდა ადგილი და ყოველივე ეს, სწორედ, ბაჩანა ახალაიას ხელმძღვანელობის პერიოდში ხდებოდა. ეს არის ირიბად დადასტურება იმისა, რომ ახალაია მართლაც დამნაშავე იყო და მართლაც დამსახურებულად იხდიდა სასჯელს. ასევე, ეს იმის დასტურია, რომ მას ნიკანორ მელია არ მიიკარებს, რომელიც ზუსტად ამ ლოგიკით არ აკარებს დღევანდელ „ნაციონალურ მოძრაობას“ ვანო მერაბიშვილს.**

**ჩემი ვარაუდით, კეზერაშვილის ინტერესებში ნიკანორ მელიასთან მჭიდრო თანამშრომლობა შედის. ამიტომ არ მგონია, რომელიმე ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციაში მელია-ახალაიას ერთი ტანდემი შედგეს. არ გამოვრიცხავ, ციხით და უყურადღებობით გადაღლილი ბაჩანა ახალაიამ საქართველო საერთოდ დატოვოს და მის ძმას შეუერთდეს“,** – განუცხადა For.ge-ს **დავით ქართველიშვილმა.**

ანალიტიკოსი **ირაკლი ლატარია** კი მიიჩნევს, რომ თუ ბაჩანა ახალაია “ნაციონალურ მოძრაობას“ შეუერთდება, ეს იმის დასტური იქნება, თუ რაოდენ სწყურიათ კვლავ სისხლისღვრა აღნიშნული პარტიის წევრებს.

**„ბაჩო ახალაია ვის მხარესაც დადგება, უკეთესი იქნება მეორე მხარისთვის. ყველამ კარგად იცის ახალაიასთან რამდენი საშინელება ასოცირდება. თუ ის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ურთიერთობას კვლავ გააგრძელებს, ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები, რადგან ნათლად გამოჩნდება ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არასდროს შეიცვლება. ეს არის პარტია, რომელიც არის ბოროტების კასკა და აქვთ ერთადერთი მიზანი – შურისძიება. ეს შურისძიება ყველაზე კარგ ვარიანტში არის ადამიანების დაკავება, ხოლო ცუდი ვარიანტია – ადამიანების წამება. სააკაშვილმა შექმნა აღნიშნული სისტემა და მას მოჰყვებოდნენ ახალაიები და მათი ძმანი. ამ ბიჭის მომავალი ნამდვილად არ მადარდებს. ის იმიტომ ჩაჯდა, რომ ციხეში უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა, ვიდრე გარეთ. მას იმდენი ადამიანი ჰყავს გამწარებული, რომ ვფიქრობ, არ არსებობდა ისეთი ქართველი, ვინც იმ პერიოდში მას იმ დანაშაულს შეარჩენდა. საერთო ჯამში, „ნაცმოძრაობა“ ერთი შერწყმული პარტიაა, რომელიც არ შეიძლება, რომ არსებობდეს“,** – განუცხადა For.ge-ს **ირაკლი ლატარიამ.**

**ცნობისთვის**, თავდაცვის ყოფილ მინისტრს **ბაჩო ახალაიას** 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ე.წ. რუსი ჯაშუშების საქმეზე აქვს მისჯილი.

**ქეთი გიორაძე**

## ამ ადამიანს სულ არ აინტერესებს არც თავისი პარტიის წევრი, არც მომხრე და არც მხარდამჭერი...

**ციხიდან მისი გამოგზავნილი პერსონალური, გულისამაჩუყებელი წერილები კი ისეთივე ფარსია, როგორც თვითონ და მისი მოღვაწეობა ადრეც და ახლაც,** – ასე ეხმიანება Facebook მომხმარებელი ნინო ფოჩხუა მიხეილ სააკაშვილის წერილს, რომელიც ბაჩანა შენგელიას მიმართავს.

**„...შენი და ია კერზაია არის თითოეული ჩვენგანის ხატება“,** – ასე მიმართა მიშამ, გარდაცვლილ დედაზე, ბაჩანა შენგელიას. **ამ ადამიანს სულ რომ არ აინტერესებს არც თავისი პარტიის წევრი, არც მომხრე და არც მხარდამჭერი, ამ წერილშიც კარგად ჩანს, ბაჩანა შენგელიას გარდაცვლილი დედა დად მოიხსენია. ციხიდან მისი გამოგზავნილი პერსონალური, გულისამაჩუყებელი წერილები კი ისეთივე ფარსია, როგორც თვითონ და მისი მოღვაწეობა ადრეც და ახლაც. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია.“** – წერს ფოჩხუა სოციალურ ქსელში.

# თბილისს 10 000 ავარიული შენობის პრობლემა აწუხებს!

**ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამისთვის ლოკაცია უკვე შერჩეულია. დედაქალაქის მერია აპირებს, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება დროულად დაიწყოს, რადგან პროექტის განხორციელებას ტექნიკურადაც საკმაო დრო სჭირდება, ხოლო შენობების მდგომარეობა, რომელთაც ექსპლუატაციის ვადა გასული აქვთ, სულ უფრო მძიმდება.**

თბილისის მერის **კახა კალაძის** ინფორმაციით, ყველაზე აქტიური ამ მხრივ არის სამგორის რაიონი, სადაც სამი კონკრეტული ობიექტია შერჩეული, თუმცა მუნიციპალიტეტი სხვა წინადადებებისთვისაც ღიაა.

**— უკვე შერჩეულია კონკრეტული ობიექტები. ყველაზე დიდი აქტიურობით გამოირჩევა სამგორის რაიონი, მესამე მასივი. ხელმოწერები შეგროვებულია ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, უახლოეს მომავალში გამოვაცხადებთ ტენდერს და გამოვლინდება მშენებელი კომპანია. ასე რომ, მინდა**




**მივმართო მათ, ვისაც ავარიული სახლების პრობლემა აწუხებს — იაქტიურეთ თქვენს ამხანაგობებთან ერთად და წარმოადგინეთ მერიაში განცხადებები, ხელმოწერები, რომ შემდეგ მოხდეს ავარიული სახლების ჩანაცვლება ახალი, მოწესრიგებული სახლებით, ისე რომ არ გექნებათ გადასახდელი 1 თეთრიც კი“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქში ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა მიმდინარე წელს დაიწყება. საამისოდ მერიის ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარია გამოყოფილი.

**— წელს გვექნება კონკრეტული პროექტები, რომლის განხორციელებასაც დავიწყებთ. ჯერჯერობით მუშაობა მიმდინარეობს. ეს არ არის მარტივი პროცესი, რადგან უნდა იყოს კონკრეტულ ობიექტზე მცხოვრები ყველა ადამიანის თანხმობა და ა.შ. 10 ათასამდე ასეთი შენობაა თბილისში, რომელსაც სხვადასხვა ავარიულობის ხარისხი აქვს.**

**წელს 20 მილიონია გამოყოფილი პროექტის დასაწყებად და ვფიქრობთ, საკმაო რაოდენობით მოხდება ჩანაცვლება. ცოტა მოგვიანებით უფრო კონკრეტულად მოგაწვდით ინფორმაციას, თუ რა მისამართებზე განხორციელდება პროექტი“,** — განაცხადა კალაძემ.

დეტალები, თუ კონკრეტულად როგორ აპირებს მერია პროექტის განხორციელებას, ჯერჯერობით უცნობია და გაირკვევა, როგორც კი შესაბამისი პროექტი მომზადდება. „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ ხელმძღვანელის **მამუკა სალუქვაძის** შეფასებით, ძველი და დაზიანებული შენობების ჩანაცვლების მიმართულებით სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება არა მარტო თბილისში, არამედ დიდ ქალაქებში, პირველ რიგში, ბათუმში.

**— ავარიული შენობების ჩანაცვლების სამუშაოები პრაქტიკულად დაწყებულია. „ხრუშოვკის“ ტიპის რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი დაინგრა ან გაამაგრეს, რომლის რეაბილიტაციაც შესაძლებელი იყო. ავარიული შენობები საკმაოდ მწვავე პრობლემაა და პირველ რიგში, იმაზეა ორიენტირებული, რომ ინვენტარიზაცია დასრულდეს და დაიდოს შესაბამისი დასკვნები ავარიულობასთან დაკავშირებით. დღესდღეობით ბევრი ასეთი შენობაა და მათი რიცხვი გაიზრდება.**

**ყოველწლიურად უფრო და უფრო ძველდება საცხოვრებელი ფონდი და ბუნებრივია, პრობლემა მწვავდება. თბილისსა და სხვა ქალაქებშიც გახშირდა ფაქტები, შეიძლება კორპუსი ავარიული არ არის, მაგრამ სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტი დარღვეულია მიშენებების გამო და მისი ასეთი სახით არსებობა დიდ რისკს შეიცავს“,** — განაცხადა სალუქვაძემ, რომლის აზრითაც 20 მლნ ლარი ავარიული შენობების ჩანაცვლებისთვის არასაკმარისია, მაგრამ პრობლემის ნაწილს მოაგვარებს.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის მერიამ 365 ავარიული შენობის რეაბილიტაცია მოახერხა, თუმცა თბილისის მასშტაბით 10 000 ავარიული ნაგებობაა.

**ბექა დანელია**

# შემოდგომაზე ახალი მაგისტრალი გაიხსნება

**საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 30კმ-37კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს,** — ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის, ობიექტზე ხორციელდება სავალი ნაწილის სტაბილიზირებული საფუძვლის ფენის მოწყობის და ბორდიურების დამონტაჟების სამუშაოები.



პროექტი უზრუნველყოფს ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აქ მცხოვრები ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს. სამუშაოების დასრულების ვადა მიმდინარე წლის ოქტომბერია.

# გაიწმინდა დოეს-გრაკლის სარწყავი არხი

**„საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, დოეს-გრაკლის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელი არხების მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სოფელ დოესსა და გრაკალში ხემცენარეებისა და ბუჩქნარისაგან 3,7 კილომეტრი სიგრძის არხები იწმინდება.**

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს; შედეგად, სოფელ დოესისა და გრაკლის 80 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

საირიგაციო არხების აღდგენითი სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.




# მატყუარა ტელებორდელები უკანონობას ახალისებენ

**თბილისის მერიაში გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და სახელმწიფო მიწებზე უკანონო მშენებლობების ფაქტებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.**

მისი თქმით, იმ ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ აშენებულ შენობაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი ბავშვიან ოჯახებს, თბილისის მერია ქუჩაში არ დატოვებს და ყურადღებას მიაქცევს.

**„სახელმწიფოს მიწა-წყალზე მიწების დატაცება და მასზე უკანონო მშენებლობების განხორციელება კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. უკანონობა ვერ დაკანონდება. განსაკუთრებით, მინდა მივმართო ბავშვიან ოჯახებს: ვინც დღეს უკანონოდ აშენებულ შენობებში იმყოფებით და გეშინიათ, რომ ქუჩაში დარჩებით, პირობას გაძლევთ, რომ უყურადღებოდ არ დარჩებით. პირველ ეტაპზე, ქირით გაგიყვანთ. თუ მართლა უსახლკარო ხართ, დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში, მიიღებთ შესაბამის სტატუსს და შემდეგ, მუნიციპალური საცხოვრისი გადმოგეცემათ. მიუხედავად ბევრი პროვოკაციისა და მცდელობისა, რომ დაგვაბრალონ ის, რასაც არასდროს ვიკადრებთ, ჩვენ არ ვართ ხელისუფლება, რომელიც ბავშვის ინტერესს გვერდზე გადადებს. ჩვენთვის ადამიანი ყოველთვის იყო, არის და იქნება მთავარი ამოსავალი წერტილი“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ოჯახებს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლი არა აქვთ, პირველ ეტაპზე, რაიონული გამგეობები ეხმარებიან და ისინი ქირით გაჰყავთ. შემდეგ კი უსახლკაროების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მათ მუნიციპალური ბინებით დააკმაყოფილებენ.

**„არაერთხელ გავაკეთეთ განცხადებები, თუ რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმ ოჯახებისთვის, ვისაც უჭირს, საცხოვრებელი არ აქვს, უსახლკარობის სტატუსი აქვს. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ მოგცეთ იმის შესაძლებლობა, ნორმალურ გარემოში იცხოვროთ. გვაქვს პროგრამები, რომლითაც მოქალაქეები დროებით გაგვყავს ქირით. პარალელურად კი მიმდინარეობს მუშაობა, რომ მათ მიიღონ უსახლკაროს სტატუსი, თუ ნამდვილად უსახლკაროა. არ მაქვს საუბარი ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც სამ-სამი ავტომობილი, სხვადასხვა რეგიონში მიწები და საცხოვრებელი სახლები აქვთ. მე ვსაუბრობ მათზე, ვისაც ნამდვილად არა აქვს სახლი. არც ერთი უსახლკარო თბილისელი არ დარჩება საცხოვრებლის გარეშე. ყველას გადაეცემა მუნიციპალური საცხოვრისი. ჩვენ უკვე გვყავს 400-მდე უსახლკარო ოჯახი და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ყველა დაკმაყოფილდება ბინით. მე ჩემს წინასაარჩევნო დაპირებას შევასრულებ. პროცესი უკვე დაწყებულია. მიმდინარე თვეში რამდენიმე ოჯახს საცხოვრებელი ფართი გადაეცემა და ეს მომავალშიც გაგრძელდება“...**

მისივე თქმით, მერიის ყველა თანამშრომელი და გამგეობა მზადაა, უსახლკარო ადამიანებს დაეხმაროს.

**„არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში, ტყუილად არ დახარჯოთ თანხები მშენებლობაში. ყველა უკანონო ნაგებობის დემონტაჟი მოხდება. კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, რომ თავი მძიმე მდგომარეობაში არ ჩაიგდოთ. ვისაც გაქვთ ეს უკანონო მშენებლობები, მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დემონტაჟი თავად განახორციელოთ და მასალა არ გაგიფუჭდეთ. მერიის ყველა თანამშრომელი და გამგეობა მზადაა, უსახლკარო ადამიანებს დაეხმაროს. მინდა, სამგორის რაიონის გამგებელს მადლობა გადავუხადო, რადგან მისი მხრიდან სწორი ახსნა-განმარტება გაკეთდა“,** — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ აქვე, იმ მედიასაშუალებების წარმომადგენლებსაც მიმართა, რომლებიც უკანონო მშენებლობების შესახებ არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ და აღნიშნა, რომ ისინი უკანონობას ახალისებენ.

**„სახელმწიფო მიწების მიტაცება და შემდეგ კონკრეტული ტელევიზიებით ამის წახალისება კატეგორიულად მიუღებელია. ძალიან მძიმე შედეგს მივიღებთ. მინდა, მივმართო ამ ტელევიზიებს, დაფიქრდით, რას აკეთებთ - თქვენ პირდაპირ ახალისებთ უკანონობას. ხვალ, ზეგ თქვენთან მოვლენ, თქვენ შეგექმნებათ იგივე პრობლემები და სახელმწიფომ და კანონმა უნდა დაგიცვათ“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტიდან ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად, წელიწადში 29 ათასიდან 60 ათას ლარამდე თანხა გამოიყოფა. აღნიშნული მედიკამენტები სრულად უფინანსდებათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებულ პირებს, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს — 80 და 50 პროცენტით.

**„პროგრამის ფარგლებში ფინანსდება HER-2 დადებითი, ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) და მეტასტაზური ფორმის ძუძუს კიბოს სამკურნალო ძვირად ღირებული მედიკამენტები“,** — განაცხადა კახა კალაძემ. მისივე თქმით, პროგრამის მიმდინარე წლის ბიუჯეტი ოთხი მილიონი ლარია.

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რითაც ამ საჭიროების მქონე ქალებს, მათ ოჯახებს ფინანსური ტვირთი მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა და მათი უმეტესობა ქონების გაყიდვისა და სერიოზული საკრედიტო ვალდებულებებისგან იხსნა. აღსანიშნავია, რომ ერთი ამპულა მედიკამენტის ფასი 5 000 ლარამდეა. რიგ შემთხვევაში კი, ერთი გადასხმის ჩასატარებლად, ორი სხვადასხვა მედიკამენტის ერთობლივი ფასი 9 000 ლარს აჭარბებს“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

# „დონ-კიხოტი დროდადრო სუყოველ ჩვენგანში ბრუნდება“...

## კახი კავსაძის სტუმრის ვასილი ლივანოვის ინტერვიუ და სხვა

**დავით აღმაშენებლად თავმნათლულმა, ამჟამად რუსთავის მე-12 დაწესებულების საკნის მკვიდრმა ბინადარმა 2007 წლის 10 აგვისტოს ორი ათეული რედაქცია ჟურნალისტური ოფლით აშენებული „სამშობლოს“ შენობიდან რომ ქუჩაში გამოგვყარა, რაც ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, თვით სამშობლოს წართმევასთან ჭრიდა, ვინც დახურვას გადავურჩით, მომთაბარე ცხოვრება დავიწყეთ. ხან სად ვქირაობდით ბინას, ხან სად. სწორედ მაშინ აღმოვჩნდით მაჩაბლის ქუჩის იმ შენობაში, სადაც ჩვენი დამსახურებულად სახელგანსმენილი და ხალხის საყვარელი კახი კავსაძე ცხოვრობდა, რომელიც უკვე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაშიც ცნობილი იყო, როგორც რეზო ჩხეიძის ფილმში გაცოცხლებული დონ-კიხოტი.**

ერთხელ ეზოში კახი სტუმართან ერთად იყო. თავისთან საგანგებოდ ჩამოსული, იმხანად დიდად გახმაურებული რუსი მსახიობი და ნიჭიერი მწერალი, საერთოდ იშვიათი შემოქმედებითი პიროვნება ვასილი ლივანოვი, რომელსაც მაყურებელი პატივს სცემდა როგორც „ბრმა მუსიკოსს“, კონან დოილის ჰოლმსს და, რაც მთავარია, სერვანტესის „დონ-კიხოტს“.

ლივანოვის თბილისში სტუმრობის მთავარი მიზანი რუსი „დონ-კიხოტის“ შეხვედრა იყო „ქართველ დონ-კიხოტთან“.

ბუნებრივია, კახიმ გაგვაცნო სტუმარი, რომელსაც ლაპარაკში შევყევით უკვე მასპინძლის ბინაში. ჩვენ, რასაკვირველია, ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვით, მაგნიტოფონი მოვიმარჯვეთ და სიტყვა ჩამოვუგდეთ ჯერ „ქართველ დონ-კიხოტზე“, მერე რუს „ხოლმსსა“ და „მწუხარე სახის რაინდზე“. ლივანოვმა ფრიად მაღალი ნიშანი დაუწერა კახის დონ-კიხოტს და კიკალეიშვილს სანჩოპანსას. ქართველი ის დონ-კიხოტიც და სანჩო-პანსაც სწორედ ისეთები არიან, როგორრადაც მე მესმის ამ გმირთა სახეები და არა ისეთი ტრაფარეტული, როგორც რატომღაც მიღებულიაო.

რაც შეეხება რუსული ფილმების შეფასებას, ლივანოვმა, ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთო, თავისი ერთი ძველი ინტერვიუ გადმოგვცა. რაც აქ მაქვს ნათქვამი, ამაზე მეტს მაინც ვერ ვიტყვი და ეს გამოიყენეთო.

ამ ლაპარაკში მალე რეზო ჩხეიძეც შემოგვესწრო. მგონი, კახიმ დაურეკა.

მას მერე კარგა ხანი გავიდა და, მართალი რომ ვთქვა, ეს ამბავი ვიგულმავიწყე, ხოლო ამას წინათ ინტერნეტში ერთხელ კიდევ რომ ვუყურე რეზო ჩხეიძის „დონ-კიხოტს“, ჩემდა უნებურად ლივანოვის ინტერვიუ წამომაგონდა, მომეჩვენა, რომ ბევრ ღირებულ რასმე ლაპარაკობს სერვანტესის წიგნზე, რის გაცნობაც ქართველი მკითხველისთვის ურიგო არ იქნება. მით უმეტეს, რომ რუსი დონ-კიხოტი და ხოლმსი ახლებურად, თავისებურად, ლივანოვისებურად ხსნის ამ ფრიად და ფრიად ცნობილ, როგორც ხოლმსის, ისე სერვანტესის ტექსტეიბის დედაარსს.

ინტერვიუს პირველი კითხვის პასუხად ლივანოვი ამბობს:

– ჩვენს პროფესიაზე სისულელეების შეთხზვა უყვართ. ამბობენ, მსახიობობა დამოკიდებული პროფესიააო. არ არის სწორი, ასე თუ ვიმსჯელებთ, ყველა პროფესია დამოკიდებულია. სანტექნიკოსიც კი დამოკიდებულია თავის უფროსზე, მსახიობი არ არის დამოკიდებული რეჟისორზე, მარიონეტი ხომ არ არის, თოჯინა. მსახიობს თავისი აზრი აქვს იმ როლზე, რომელიც მიანდეს. აქ საქმე რეჟისორზე დამოკიდებულება კი არ არის, არამედ იმასთან თანამოაზრეობა. თუკი ეს არის, გამოდის შემოქმედებითი თანამეგობრობა, ხოლო თუ არ არის, მაშინ მსახიობი ან მიდის სურათიდან, ან ისე თამაშობს, როგორც თავად მიაჩნია საჭიროდ. რეჟისორ მასლენიკოვს როგორღაც წამოსცდა: კონან დოილი ფრიად საშუალო მწერალია, ხოლმსისა და ვატსონის ამბავი კომედიააო. მე ჩემს პარტნიორს რეჟისორისთვის რომ დაგვეჯერებინა, ფილმი აუცილებლად ჩავარდებოდა.

**– ალბათ, წარმატება არ ექნებოდა!**

– დიახ, ეგრე იქნებოდა. იმის მერე, რაც რეჟისორთან აშკარა კონფლიქტი მომიხდა შემოქმედებითი მიზეზების გამო და არა იმიტომ, რაზეც იმას ლაპარაკი უყვარს, შემდეგ მან ერთი ასეთი ფორმულა მოიგონა: თქვენ გამოიცანით რეჟისორის ფარული ჩანაფიქრიო. კონან დოილი, ცხადია, შექსპირი არ არის, არც იმათი ნიჭიერების შედარება შეიძლებაო. არადა, მან ისეთი სახეები შექმნა, უკვე ასი წელიწადი რომ ცოცხლობენ და კიდევ არაერთი საუკუნე იცოცხლებენო.

**– ისინი ადამიანთ აიმედებენ.**

– გადაღების წინ ვკითხეთ რეჟისორს, რად გინდა, რომ ახალ კონან დოილს იღებ, სულ ცოტა ათობით ეკრანიზაციააო.

**– ის კი არა, რუსეთშიც გადაიღეს „ცისფერი ლალიც“.**

– იყო კიდევ „ბასკერვილების ძაღლი“, რომელიც დავიწყებულია დამსახურებულად. რეჟისორმა არ იცოდა, რა


რეზო ჩხეიძე და კახი კავსაძე „დონ კიხოტის“ გადაღებაზე

უნდა ეპასუხა. რაღაც „ინგლისურობაზე“ დაიწყო ლაპარაკი და მერეც ხშირად მიმართავდა ამ ტერმინს, თუმცაღა, არსებითად, ეს ტერმინი არცრას არ ხსნის. მე და ჩემმა პარტნიორმა გადავწყვიტეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის დახმარება.

**– თქვენი აზრით, მაგაში უნდა ვეძიოთ ფილმის პოპულარობის მიზეზი?**

– არა მხოლოდ. კონან დოილის ყოველ ეკრანიზაციას ერთი ნაკლი აქვს: წინ გამოდის დეტექტიური სიუჟეტი, მსახიობები ამ სიუჟეტს მხოლოდ ემსახურებიან. ჩვენთვის მთავარი იყო პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება – ხოლმსისა ვატსონთან და ამ ორისა სუყოველ დანარჩენთან. რატომ არ განსხვავდებიან ამჟამად დეტექტიური სერიალები ერთმანეთისგან? მათში მხოლოდ ინტრიგაღაა დარჩენილი და არ არის ცოცხალი სახეები. მაყურებელს არ უნდება გმირების გაცნობის სურვილი. არა მსახიობებისა, არამედ იმათი პერსონაჟებისა, ტყუილად კი არ წერდა, ინგლისური პრესა, რომ ჩვენმა ფილმებმა დაუბრუნეს ინგლისელთ თავიანთი ეროვნული გმირები. მე ბედნიერი ვარ ჯილდოთი, რომელიც თვით დედოფალმა მიბოძა, ბედნიერი ვარ, რადგან ეს ორდენი რუსული სამსახიობო სკოლის საერთაშორისო აღიარების ფაქტია. კინოს არაინგლისელ მსახიობთაგან ბრიტანეთის ორდენის კავალერი მხოლოდ სამნი ვართ – ლიზ ტეილორი, სპილბერგი და თქვენი მონა-მორჩილი.

**– ორდენი თავდაპირველად სამხედროებისთვის დაწესდა, არა?**

– კი, ოღონდ მერმე გადაწყვიტეს, რომ კულტურის მოღვაწეთ სამხედროებზე არანაკლები შეუძლიათ იმპერიის აყვავებისთვის. ორდენის დევიზიც აკი ასე ჟღერს: **„ღმერთისა და იმპერიისთვის“.** ბრიტანელნი ისე უფრთხილდებიან თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს, რომ იმათგან უნდა ვსწავლობდეთ. სულ არ ანაღვლებთ, რას ლაპარაკობენ იმათზე, ტრადიციები წმიდათაწმიდაა და ხელშეუხებელი, რამეთუ ისინი ადუღაბებენ ერს.

**– ჩვენი თვალსაზრისით, ჰოლმსი და ვატსონი ნამდვილი მამაკაცური მეგობრობის მაგალითია.**

– სხვანაირად არც შეიძლებოდა. მე და ჩემი პარტნიორი ცხოვრებაშიც მეგობრები ვართ. მეგობრები არიან ჩვენი შვილებიც და ცოლებიც. მეგობრობის თამაში შეუძლებელია. ობიექტივი ობიექტურიაო, ამბობდა ჩემი მასწავლებელი, კინოოპერატორი სერგეი ურუსევსკი. შეიძლება სიყვარულის თამაში, მაგრამ მეგობრობისა არ გამოვა. შექსპირი სონეტებში სიყვარულზე მაღლა მეგობრობას აყენებს, ვინაიდან სიყვარული იქნებ უპასუხოც იყვეს, მეგობრობა კი – არა. მეგობრობა შეუძლებელია, თუ არა ღრმა ურთიერთგაგება, მსოფლმხედველობათა დამთხვევა, გარემომცველი სამყაროს აღქმის მსგავსება, საერთო ზნეობრივ ფასეულობათა აღიარება. ეს ნდობა და ურთიერთდახმარებაა.

**– რას იგებს და რას კარგავს ლიტერატურული ნაწარმოები ეკრანზე გადატანისას?**

– არცრას არ კარგავს, უკეთუ შემსრულებელი მწერლის თანაავტორი ხდება.

**– ხუმრობა არ არის თანაავტორობა, ვთქვათ, სერვანტესისა.**

– კი, სახუმარო საქმე არ არის. კლასიკის თამაში არ შეიძლება პრინციპით – **„მე ასე ვხედავ“**. კითხვასხვაობა და ვარიანტები არ უნდა იყვეს.

ხოლმსზე გადაღებული გაი რიჩის ფილმი საშინელია. არცრა დამოკიდებულება კონონ დოილთან არა აქვს. შეუძლებელია მსოფლიო სახელის მქონე ავტორის დამახინჯება, სულ იმათზე ვფიქრობ, ვინც გოგოლს ამახინჯებს.

**– გოგოლი თქვენი საყვარელი მწერალია?**

– „მკვდარი სულები“ ჩემი სამაგიდო წიგნია, სულ ზეპირად ვიცი.

**– გოგოლის გარდა?**

– ჩეხოვი, ბულგაკოვი, რომელიც მამაჩემთან მეგობრობდა. ინგლისელთაგან ყველაზე მეტად დიკენსი მიყვარს. ბავშვობაში „დევიდ კოპერფილდს“ პირდაპირ ვყლაპავდი.

**– ჩესტერტონთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

– დიდი პატივისცემით. საოცარი აზრები აქვს, მაგალითად: **„ძალიან ყურადღებიანები უნდა ვიყვნეთ მშობლების არჩევისას“.** როგორია?! იყო დრო, როცა ჰემინგუეით ვიყავი გატაცებული. ერთმა ჩემმა მეგობარმა ჩვენს თაობას **„ჰემინგუეით შეძრული“** თაობა უწოდა. ახლახან დისკზე ჩავწერე **„მოხუცი და ზღვა“.**

**– თუ „დონ კიხოტს“ ავიღებდით, საჭიროა ნაწილობრივ დონ-კიხოტად ყოფნა. თქვენში ეს არის?**

– რასაკვირველია. ადამიანში ბევრი რამ ისეთია, რასაც გამოჩენა უნდა. გმირს კი არ უნდა მოერგო, არამედ შენ თვითონ უნდა შეძვრე იმის ტყავში. ფილმი „დონ კიხოტი“ ჩემი დეკლარაცია იყო. მე იმაზე არაერთ წელიწადს ვფიქრობდი, დონ კიხოტის ყალბი განმარტება XVIII საუკუნეში მოიგონეს ფრანგმა ენციკლოპედისტებმა. და იმის მერმე არსებობს ეს კლიშე, რასაც არცრა საერთო არა აქვს რა იმასთან, რის თქმაც სერვანტესს უნდოდა თავის რომანში. ენციკლოპედისტები დონ კიხოტში ხედავდნენ უშიშარ და უსაყვედურო რაინდს, ხალხის ქომაგს, ხოლო სანჩოც ის კაცი იყო, ხალხიდან გამოსული, რომელმაც მმართველად გახდომა მოახერხა.

**– თქვენი აზრით, რომანი მაგაზე არ არის?**


ვასილ ლივანოვი – დონ კიხოტი „დონ კიხოტის დაბრუნება“

– სრულიადაც არ არის მაგაზე. დონ კიხოტი არცრა რაინდია. ის იდალგოა (ეს კი ერთი და იგივე არ არის), რომელიც ნადირობდა კურდღლებზე და კითხულობდა რაინდულ რომანებს, რომელთაც მერმე მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელნიც გაიტაცეს. დონ კიხოტმა იმდენი იკითხა ის რომანები, რომ გადაწყვიტა, მარტო მე ვიცი, როგორ უნდა მოეწყოს წუთისოფელიო. ჩვენ ვიცით, ასეთი დონ კიხოტები – ლენინი, ჩე გევარა. მხატვარ კორჟუევს აქვს ლენინისსახიანი დონ კიხოტის პორტრეტი. სანჩო კი ხალხის შვილია, გლეხია, რომელიც შეპყრობილია გუბერნატორად გახდომის ჟინით ანუ თანამდებობისა და ძალაუფლების ჟინით. ისინი, დონ კიხოტიც და სანჩოც, უზომო სიამაყის განსახიერებაა – **„მე ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება ვარ“**. ისინი დაიარებიან ევროპაში, ვითარცა აჩრდილი კომუნიზმისა. შენ ან აღიარებ დულსინეას, ან მორჩა შენი საქმე. შეადარეთ: ან იღებ კომუნიზმს, ან არადა სოლოვკი გელოდება. სანჩო მალევე მიხვდა, რომ ძალაუფლებისთვის არ ვარგოდა, დონ კიხოტი კი ისევ ისე დაბნეული დარჩა. სერვანტესს ყველაფერი უწერია. საჭიროა მხოლოდ გულისყურით წაკითხვა. ის კი არა, დონ კიხოტი მახვილგონიერად თუ ვირეშმაკად სახელდებულია სახელწოდებაშივე. მაგრამ ეს ხომ ირონიაა! ხალხის ქომაგის ვირეშმაკობა სად გაგონილა. ენციკლოპედისტებს სჭირდებოდათ იდეალური სახე, იმათ ღმერთი არა სწამდათ, საჭირო იყო თუნდაც შემცვლელი რამ.


მწუხარე სახის რაინდი – ოთარ მეღვინეთუხუცესი დონ კიხოტის როლში

**– ფილმს რატომ ეწოდება „დონ კიხოტის დაბრუნება“?**

– იმიტომ, რომ ის დროდადრო ბრუნდება სუყოველ ჩვენგანში, ტელეჟურნალისტებს უყვართ შეკითხვა ჩამვლელ-გამვლელისთვის, – **რას იზამდით ქვეყნის პრეზიდენტი რომ გამხდარიყავითო.** ისინიც იწყებენ თავიანთი აზრების გადმოფრქვევას, გადასახადებს შევამცირებდიო, არმიას დავშლიდიო, რა ვიცი ათას რასმე ამბობენ. იმას კი არცვინ არ ამბობს, მე რა საპრეზიდენტო კაცი ვარო. დროდადრო სუყოველ ჩვენგანს გვეჩვენება, რომ ჩვენ ვიცით, როგორ უნდა ვმართოთ ქვეყანა. აი, დიახაც, ეს დონკიხოტობა აქვს სერვანტესს კიდევ უფრორე ღრმად. დონ კიხოტი ერევა ცხოვრების ცოცხალ დინებაში, ის ადამიანებს ხელს უშლის ცხოვრებაში. ამიტომაც მიზერტყავენ ხოლმე.

ხელოვნების უპირველესი მოვალეობაა იდეები მიჰქონდეს ადამიანთათვის. უამისოდ ხელოვნების არსებობას აზრი არა აქვს.

**– საიდან იღებთ ამ იმედს? როგორ ახერხებთ ზოგთაგან ზურგში დარტყმას?**

– მე კაზაკური ხასიათისა ვარ, ტანკს ტალახის შიში არა აქვს. თანაც ზურგი მაგარი მაქვს.

– როგორც ვიცი, ოჯახი თქვენთვის უმაღლესი ფასეულობაა ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ბევრის აზრით, უკეთეს შემთხვევაში, ოჯახი სავალდებულო არ არის...

– ეგრეთი ადამიანები მხოლოდ მეცოდებიან, ვისაც თავისი ოჯახი არ უყვარს, იმას სამშობლო არა აქვს.

* * *

**საუბრის დასასრულს ქართველ დონ კიხოტზე ვკითხე აზრი, მიპასუხა, კახის დონ კიხოტი ბევრი რამ ხასიათის ნიშნით ძალიან ჰგავს ჩემს დონ კიხოტსო. კიკალეიშვილიც ჩემს წარმოდგენილ სანჩოობას აკმაყოფილებსო. სხვათა შორის, რეზო ჩხეიძის ფილმი საზღვარგარეთ უფრორე მეტად გახმაურდა, ვიდრე ჩვენშიო. არადა, „ქართული დონ კიხოტი“ უპრიანია, რომ მეტად ჩანდეს ეკრანზეო. მით უმეტეს, რომ ფილმი მთლიანად მწერლის თანაავტორობით არის შექმნილი, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს სერვანტესის ღრმა ჩანაფიქრს ეზიაროს და წიგნის კიდევ ერთხელ გადაკითხვის სურვილიც გაუჩნდესო.**

...და სტუმარმა მასპინძლის სადღეგრძელო შესვა და განაგრძო, – ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, კახის დონ კიხოტის განსახიერებისთვის თავისებური მსხვერპლი გაუღია, 9 სერიის გადაღების განმავლობაში დაახლოებით 35 კილოგრამი დაუკლია, კახი თურმე ხშირად ხუმრობდა – ცარცით დახატულს ვგავდიო. რეზო სავსებით სწორად აფასებდა ამ ამბავს, კახის მთელი თავისი არსებით ესმოდა, რომ **ის უნდა ყოფილიყო სული პეროსონაჟისა და არა ხორციო, ანუ ზუსტად ისეთი, როგორიც სერვანტესის გმირიაო.**

სრულიად სამართლიანად დაჯილდოვდა კახი ამ როლისთვის „ოქროს ვერძით“, როგორც წლის საუკეთესო მსახიობიო... დანარჩენს, ალბათ, თვითონ იტყვისო... ერთი ხანობა იმაზე იყო ლაპარაკი, – თქვა კახიმ, – მე მეთამაშა სერვანტესის როლი, მერე ითქვა, თითქოს ორი დონ კიხოტი უნდა ყოფილიყო – მე და ოთარ მეღვინეთუხუცესი, ბოლოს ისე დაამტკიცეს, როგორც კინოშია. აქვე უნდა ვთქვა, რომ ოთარის ვაჟკაცობამ გამაოგნა. ადვილი არ იყო იმ ყველაფრის გადახარშვა, რაც მაშინ ხდებოდა. ოთარი მსხაიობია და ამ სინჯების მერმე დავრწმუნდი, რომ დიდი კაციც ყოფილა.

რასაკვირველია, ვისარგებლე რეზო ჩხეიძის იქ ყოფნით და იმასაც ვთხოვე აზრი.

– რა თქმა უნდა, „დონ კიხოტზე“ ნაფიქრი მქონდა. ის ხომ სათავგადასავლო წიგნიც არის და ფილოსოფიურიც, თანაც ესპანური ხასიათი ქართულს ძალიან ჰგავს. ამას უცხოელებიც ამჩნევენ.

სცენარს სულიკო ჟღენტთან ერთად ვწერდი, ვიქტორ შკლოვსკისთანაც ვთანამშრომლობდით. მაგრამ მერე ავად გახდა და გაგრძელება ვეღარ შეძლო.

სცენაზე მუშაობდა კიდევ ერთი ესპანელი მარსიალ სუარესი. თბილისში რომ ჩამოვიდა, დავხვდით და მოგვყავს თბილისში. ხელოვნების მუზეუმთან რომ გამოვიარეთ, სადაც ადრე სასულიერო სემინარია იყო, მანქანა გაგვაჩერებინა, გადავიდა, გაიარა და ქვები აკრიფა. გაგკვიკვირდა, რად უნდოდა ის ქვები. თურმე გადარეული სტალინისტია და იმ ადგილის სამახსოვროდ, სადაც სტალინი სწავლობდა, ქვები აიღო და თან წაიღო. ესპანეთში რომ ჩავედით, ის ქვები საწერ მაგიდაზე ეწყო.

ერთხელ შკლოვსკიმ საუბარში ასეთი რამ თქვა, დონ კიხოტში გამოხატულია იმ თაობის სევდა, შექსპირი და სერვანტესი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ, ერთი ტკივილი ჰქონდათ და ერთი და იგივე იდეები აწუხებდათ. ორივე ჭეშმარიტების მაძიებელიაო... შკლოვსკის ამ აზრმა მიკარნახა, – განაგრძო რეზო ჩხეიძემ, – რომ ჰამლეტი და დონ კიხოტი ერთმანეთს შეხვედროდნენ. ჰამლეტის როლს ზურა ყიფშიძე ასრულებს. მე დიდ პატივს ვცემ, არაჩვეულებრივ მსხაიობია.

ფილმი ასე იწყება:

– ვინა ხარ, მგზავრო? საით მიდიხარ? – ეკითხება დონ კიხოტი.

– დანიის პრინცი გახლავარ, ჰამლეტი.

– მე დონ კიხოტი ვარ, – მოხეტიალე რაინდი.

– მერედა, რას დაეძებ ამ ღამეში, რაინდო?

– ახლა ძილის დრო არ არის, ბოროტება უნდა დავთრგუნო და ჭეშმარიტება აღვადგინო.

ფილმს დავარქვი „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი. ყველა წმინდანის ცხოვრებაც ხომ ასეა აღწერილი.

ეს ფილმი არის ერთგვარი არაკი იმ ქვეყანაზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და სადაც მაძიებლობა სიგიჟედ მიაჩნდათ. ეს ჩანაფიქრი იმით გამოვხატე, დონ კიხოტი და სანჩო თანამედროვე მადრიდში დადიან, მთავარ ქუჩაზე. ბოლოს დონ კიხოტი ცაში ამაღლდება, რაც იმის მანიშნებელია, რომ სიმართლისთვის მებრძოლი დღესაც დონ კიხოტად მიიჩნევა, არაფერი არ შეცვლილა.

არასოდეს არ მომაფიქრდებოდა „დონ კიხოტს“ შევბმოდი უესპანეთოდ. ჩვენი პარტნიორი გახდა ფირმა **„მიგელ სანჩეს ინფანტე“**, თუ არა ესპანეთის ნატურა, ფილმის გადაღება შეუძლებელი იყო. თუმცა ბევრი ეპიზოდი სამხრეთ საქართველოში გადავიღეთ. ხშირად მიწას ვღებავდით, რადგან ესპანეთში მიწა მოწითალოა. ესპანელებს უნდოდათ, რომ ძალიან რეალისტური, ყოფითი ფილმი გადაგვეღო, ნაწარმოებთან რაც შეიძლება მიახლოებული.

დონ კიხოტის როლზე თავიდან ოთარ მეღვინეთუხუცესს ვფიქრობდი, არაერთი სინჯიც გადავუღე, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, ვყოყმანობდი. ერთხელ სტუდიაში მოსულმა ვერიკო ანჯაფარიძემ ჩემთანაც შემოიარა. დავიწყეთ ლაპარაკი, სხვათა შორის, მკითხა, დონ კიხოტზე რას შვრებიო? მე ვუთხარი, ალბათ, ოთარი იქნება-მეთქი. **„რეზო, დაფიქრდი, არც შენ გაქვს ტკბილი ხასიათი, არც ოთარს, ამხელა ფილმი გაქვთ გადასაღები და ერთმანეთს გაუძლებთო?“** ეს ჩამრჩა მეხსიერებაში, განვაგრძე სინჯების გადაღება და კახი კავსაძე გამოიკვეთა... კახის აქვს ისეთი დამაჯერებლობა, რომ მისი გიჟური საქციელიც გჯერა. დულსინეაც ხომ იდეალია, მოვძებნეთ უმახინჯესი ქალი და ის გადავიღეთ დულსინეად.

ერთხელ ჟურნალისტებმა მკითხეს, რითი დაგამახსოვრდათ ეს გადაღებაო? მე ვუთხარი, ფილმის გადაღებისას უფრო ჭკვიანი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ-მეთქი. რატომო? ყოველდღე იმისთანა სიბრძნეს რომ ვეხებოდი, მეც ვივსებოდი-მეთქი.

ფილმის 9 სერია ეკრანზე 1989 წელს გამოვიდა. კომპოზიტორია გია ყანჩელი.

* * *

**როგორც ვიცი, რეზო ჩხეიძის ეს „სერვანტესისეული მოგონება“ თავის დროზე ჩაუწერია ჟურნალისტ თამარ ოთიაშვილსაც.**

კიდევ კარგა ხანს ვსაუბრობდი ამ სამ ბრძენ კაცთან, როგორც ძველად იტყოდნენ, მეც, რაც შემეძლო, ვუწევდი თასლიბს გვიანობამდე ასე ლაპარაკ-ლაპარაკით შევიქციეთ თავი, როგორც რეზოს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, – ისეთ სიბრძნეს ვიღებდი ხანგრძლივად, მეც სიბრძნით ვივსებოდიო, სწორედ ასე დამემართა იმ საღამოს მეც...

მოამზადა
**გურამ გოგიაშვილმა**



# ალექსი წერეთლის არქივი – საჩუქრად ხელოვნების სასახლეს

**საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი აცხადებს, რომ აკაკი წერეთლის ვაჟის დაკარგულად მიჩნეული არქივი საქართველოშია.**

მუზეუმის ცნობით, არქივი ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცეს.

**„ერთი სასიხარულო ამბავი გვაქვს, აკაკი წერეთლის ვაჟის, ალექსის არქივი, რომელიც დიდი ხანი დაკარგულად ითვლებოდა, ხელოვნების სასახლეს საჩუქრად გადასცეს. ეს უნიკალური საგანძური ქართველმა ემიგრანტმა ელისო ტარასაშვილმა პარიზიდან ჩამოიტანა. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქალბატონი ელისოს დას, ჩვენი მუზეუმის დიდ მეგობარს, ნინა ტარასაშვილს, საქართველოს დიდ მხარდამჭერსა და პატრიოტს.**

**ამ არქივში არაერთი უნიკალური დოკუმენტი და ფოტოა, მათ შორის დავასახელებდი აკაკის მეუღლის, ნატალია ბაზილევსკაიას პასპორტს. ალექსი ოპერამ ადრევე გაიტაცა და 1896-1897 წლებში ხარკოვში ჩამოაყალიბა საოპერო დასი, რომელმაც გასტროლებით მოიარა რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქები და წარმატების მწვერვალს 1904-1906 წლებში პეტერბურგში მიაღწია.**

**წერეთელს ეკუთვნის რამდენიმე მომავალში ცნობილი საოპერო ტალანტის აღმოჩენა. წერეთელმა პეტერბურგში მოაწყო ქართული დიასპორის ყველაზე დიდი საღამო. მის დასში მღეროდა თედორე შალიაპინი. ალექსი წერეთელმა თავისი დასის მთელი რეკვიზიტები „მომავალი თავისუფალი საქართველოს თეატრს“ უანდერძა. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ანდერძი არაქმედითად ცნეს და წერეთლის ქონება აუქციონზე გაყიდეს. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე თავისი ძვირფასი არქივი ვერა ფალავასათვის დაუტოვებია იმ იმედით, რომ ის დამოუკიდებელ საქართველოს მოესწრებოდა და არქივს სამშობლოში დააბრუნებდა. ეს უკანასკნელი ანდერძი წელს აღსრულდა. აკაკის ვაჟის „ცხოვრების დიდი ნაწილი“ საქართველოს, მის კანონიერ ადგილს დაუბრუნდა“,** – აღნიშნულია ხელოვნების სასახლის გვერდზე „ფეისბუქში“.

# გამოკითხვა საყვარელი ფილმის გამოსავლენად



**„ოსკარის“ ორგანიზატორები ისტორიაში პირველად ატარებენ მაყურებელთა გამოკითხვას საუკეთესო ფილმის გამოსავლენად ხმის მიცემა 14 თებერვალს დაიწყო და 3 მარტს დასრულდება. ის Twitter-ზე მიმდინარეობს. მონაწილეობის მისაღებად ტვიტში სასურველი ფილმის სახელწოდება და ჰეშტეგი OscarsFanFavorite უნდა მიუთითონ. ამასთან, ხმის მიცემაში მონაწილეობა არა მარტო „ოსკარზე“ წარდგენილ, არამედ 2021 წელს გამოსულ ყველა სურათს შეუძლია.**

გამარჯვებული „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდება, თუმცა სურათი ჯილდოს არ მიიღებს. წლის საუკეთესო ფილმს კი ტრადიციულად ჟიური დაასახელებს.

# „ჩიპი და დეილის“ ტრეილერი

**Disney-მ „ჩიპი და დეილის“ სრულმეტრაჟიანი ფილმის ტრეილერი გამოაქვეყნა. სიუჟეტის თანახმად, ჩიპი და დეილი მულტფილმში შესრულებული როლების გამო პოპულარულები გახდნენ. 30 წლის შემდეგ ძველი მეგობრები კვლავ ერთად იკრიბებიან, რათა დაკარგული მეგობარი იპოვონ.**



აღსანიშნავია, რომ დეილმა „3D-პლასტიკა ჩაიტარა“, ჩიპი კი ისევ ორგანზომილებიანი დარჩა.




# კოსმოსურმა კატასტროფამ გამოიწვია დინოზავრების გადაშენება

სტივენ ბრიუსატი ამაღელვებლად აღწერს დინოზავრების გადაშენების კოსმოსურ ჰიპოთეზას, რომელიც 1980 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „Science"-ში უოლტერ ალვარესმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის გეოლოგმა, თავის მამასთან, ფიზიკაში ნობელის პრემიის ლაურეატ ლუის ალვარესსა და ორ სხვა მეცნიერთან ერთად, მის მიერ პალეონტოლოგებში, გეოლოგებში, ქიმიკოსებში, ეკოლოგებსა თუ ასტრონომებში აღძრულ ცხოველ ინტერესს და მათ მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს, ასევე ამ პრობლემით მთელი მსოფლიოს მძაფრ დაინტერესებას. აღნიშნავს, რომ 1980-იანი წლების ბოლოს საბოლოოდ დადასტურდა 66 მლნ წლის წინათ დედამიწაზე გიგანტური კოსმოსური სხეულის შემოჭრა, გეოლოგებმა კი კონკრეტულად მიუთითეს ამ შეჯახებით წარმოქმნილი, ზემონახსენები კრატერი ჩიკსულუბი მექსიკაში, და რომ ამას მოჰყვა კატაკლიზმების მთელი წყება დედამიწაზე — მათ შორის ვულკანური ამოფრქვევები, მჟავათა წვიმები, ასევე მტვრის, კვამლისა და ორთქლის გარსით პლანეტის მრავალწლიანი შებურვა. ალვარესი თავიდანვე ეყრდნობოდა მთის ქანებში თიხის თხელი ფენის აღმოჩენას ცარცის პერიოდის, დინოზავრთა გაქვავებული ნაშთების უხვად შემცველ არეებსა და მომდევნო, პალეოგენური პერიოდის, 66-დან 23-მდე მლნ წლის წინანდელ, დინოზავრების ნაშთებს სრულიად მოკლებულ არეებს შორის. მთავარი კი ის იყო, რომ ალვარესის მიერ აღმოჩენილი თიხის ფენა გაჯერებული იყო ირიდიუმით — დედამიწაზე იშვიათი, მაგრამ კომეტების, ასტეროიდებისა და სხვა ციური სხეულებისთვის ფრიად დამახასიათებელი ქიმიური ელემენტით. შემდგომში კი ირიდიუმის ჭარბად შემცველი მსგავსი ფენები დედამიწის ყველა ნაწილში იპოვეს და კრატერ ჩიკსულუბის წარმოქმნის პერიოდიც ემთხვეოდა ირიდიუმიანი თიხის ფენათა გეოლოგიურ ასაკს. ასე რომ კოსმოსური ჰიპოთეზა დადასტურდა.

ს. ბრიუსატი წერს, რომ ეს თემა განიხილა პალეონტოლოგთა მის მიერ სპეციალურად ორგანიზებულ საერთაშორისო თათბირზე, რომელზეც უნდა შეეჯამებინათ ამ რეპტილიათა ევოლუციის ტენდენციები, გარემო პირობების მრავალრიცხოვანი ცვლილებანი წარსულში და დინოზავრების გადაშენების პროცესის დროითი მახასიათებლები. ჰიპოთეზის ავტორი სასიამოვნოდაა გაოცებული, რომ პალეონტოლოგთა დიდმა უმრავლესობამ გაიზიარა მოსაზრება, რომ ზემონახსენები პროცესი, ჯერ ერთი, უაღრესად ხანმოკლე იყო (არაუმეტეს რამდენიმე ასეული ათასი წლისა) და, მეორეც, იგი გამოიწვია ძირითადად მეტეორიტის ჩამოვარდნამ.

თუმცა აქვე ავტორი გამოკვეთილად მიუთითებს, რომ ეს ორი გარემოება მოვლენის ასახსნელად საკმარისი არაა. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ როგორი იყო ამ სახეობის (გიგანტური რეპტილიების) ეკოსისტემა მეტეორიტის ჩამოვარდნის მომენტში — მდგრადი თუ შერყეული. პირველ შემთხვევაში დინოზავრები გადაიტანდნენ გარემო პირობების მკვეთრ ცვლილებას, გამოწვეულს დედამიწაზე მომხდარი კატასტროფით. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ თურმე ეს კატასტროფა დინოზავრებს დაატყდათ იმ მომენტში, როცა ამ პერიოდის წინმსწრებ ეპოქაში მომხდარი კლიმატური ცვალებადობების გამო, მათი ეკოსისტემა უკვე კრიზისში იყო.


სტივენ ბრიუსატი

როგორც ს. ბრიუსატი გვამცნობს, ბირმინჰემის უნივერსიტეტის (ინგლისი) პალეონტოლოგის, რიჩარდ ბატლერის ინიციატივით მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა დინოზავრთა ე.წ. ბიომრავალფეროვნების მახასიათებლები მეტეორიტის ვარდნამდე 10-15 მლნ წლის განმავლობაში. ამაში იგულისხმება ამ არსებათა სხეულის ზომა, ფორმა და აგებულება, ასევე ყოფაქცევის ხასიათიც. როგორც აღმოჩნდა, ამ პერიოდში ეს მახასიათებლები დინოზავრებს საკმაოდ მყარი ჰქონდათ. აშშ-ის, კანადისა და დიდი ბრიტანეთის 11 მეცნიერის დასკვნა ამ პრობლემაზე ჟურნალ Biological Reviews-ში გამოქვეყნდა 2015 წელს. ამ კვლევის თანახმად, მანამდე მდგრადი ბიომრავალფეროვნება დინოზავრთა ეკოსისტემისა ცარცის პერიოდის დასასრულს საკმაოდ შეირყა ზღვის დონის სიმაღლისა და ტემპერატურის ცვალებადობათა გამო, რაც საცხოვრებლად ვარგისი ტერიტორიების შემცირებასაც უკავშირდებოდა. დინოზავრთა ორი ჯგუფის მორფოლოგიური მრავალფეროვნება (ტრიცერატოპისები და გადროზავრები) ასტეროიდის ვარდნის მომენტისთვის საგრძნობლად კლებულობდა. ამ ჯგუფებში შედიოდნენ მასიური ბალახისმჭამელი რეპტილიები. გამოირკვა, რომ ეს კლება მნიშვნელოვანი იყო — საკვები ქსელები ამ შემთხვევაში უფრო სწრაფად ზიანდებოდა, ვიდრე ასტეროიდის ვარდნამდე რამდენიმე მილიონი წლის წინათ არსებული და სახეობებით გაცილებით მდიდარი საკვები ქსელები.

ამრიგად, საქმე იმაშია, რომ ზღვის დონის კლებამ და დედამიწის ლანდშაფტის ცვლილებამ, ჩრდილოეთ ამერიკაში მაინც, ცარცის პერიოდის ბოლოს, მნიშვნელოვანწილად შეამცირა მასიურ ბალახისმჭამელ დინოზავრთა ბიომრავალფეროვნება. შეიცვალა მცენარეულობის ხასიათიც. საბოლოოდ ამან საკვებ ქსელთა საფუძვლები მოარყია, და გაიზარდა იმის ალბათობა, რომ ცხოველთა რამდენიმე სახეობის გაქრობა სხვა სახეობათა გაქრობის კასკადურ პროცესსაც გამოიწვევდა. ანუ, დინოზავრთა ეკოსისტემის მდგრადობა დაირღვა. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი გაუძლებდა ამ კოსმოსურ კატასტროფასაც, ისე როგორც წარსულის ანალოგიურ შემთხვევებშიც არაერთხელ მოუხერხებია. მაგრამ მეტეორიტის ვარდნით გამოწვეულ უფრო მკვეთრ რყევებს გარემო პირობებისას მან უკვე ველარ გაუძლო. ამრიგად, თუმცა დინოზავრთა პოზიციების დასუსტება უფრო ნელი მიწიერი პროცესების შედეგი იყო, ამ დასუსტების გადაზრდა მათ საბოლოო განადგურებაში მხოლოდ კოსმოსური კატასტროფით შექმნილ ახალ, ბევრად უფრო ექსტრემალურ პირობებში გახდა შესაძლებელი.

აღარ ჩავუღრმავდები პრობლემის ბიოლოგიურ მხარეს, მაგრამ დავძენ, რომ სწორედ ევოლუციურ-ბიოლოგიური კვლევით ასეთი დასკვნის გამოტანა დინოზავრთა გადაშენების კოსმოსური პროცესით ახსნას უფრო დამაჯერებელსაც კი ხდის, ვიდრე იგი თვით ასტეროიდული ჰიპოთეზის წამოყენების საწყის სტადიაში იყო.

როგორც ავტორები ასკვნიან, 66 მლნ წლის წინანდელი მოვლენები უდიდესი ტრაგედია იყო დედამიწის ბიოლოგიურ ისტორიაში. მოხდა სახეობათა მასობრივი ამოწყვეტა. თუმცა, მეორე მხრივ, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ძუძუმწოვრების გამოსვლას დინოზავრთა ჩრდილიდან — მათ დაიწყეს ზომების სწრაფი მატება, აითვისეს საკვების ახალი ტიპები, გამოიმუშავეს ყოფაქცევის ახალი ფორმები და განსახლდნენ მთელ პლანეტაზე. ამან მიგვიყვანა ჩვენი შორეული წინაპრების — პრიმატების გამოჩენამდე. სხვა პირობებში დღეს დედამიწაზე ადამიანი შესაძლოა საერთოდ არ არსებულიყო, ან, უკეთეს შემთხვევაში, განვითარების უაღრესად დაბალ საფეხურზე დარჩენილიყო.

ამას გარდა, დინოზავრთა ამბავი გაკვეთილადაც უნდა გამოვიყენოთ. ისინი ხომ მთელი 150 მლნ წელი ბატონობდნენ პლანეტაზე, განადგურდნენ კი ლამის ელვისებურად, მართალია გარეშე მოვლენით გამოწვეული მათი ეკოსისტემის რღვევის შედეგად, მაგრამ, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია — მათი ბიომრავალფეროვნების წინასწარი შესუსტების დახმარებითაც. ეს ფაქტი გვიდასტურებს, რომ დედამიწის მთელ ბიოსისტემაში ნებისმიერი გარე ჩარევა სულაც არაა უვნებელი და მას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ადამიანი კი, რომელიც ჩვენს პლანეტაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი წელია, ცხოვრობს, გარემოს წარმოუდგენელი სისწრაფით ცვლის (იგულისხმება მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული როგორც მიწიერი ლანდშაფტის, ისე ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობის, სხვადასხვა ბიოლოგიურ სახეობათა რიცხოვნობის და სხვა პირობების წინასწარგამიზნული თუ უნებლიე მკვეთრი ცვლა, ასევე შესაძლოა, გენეტიკური ექსპერიმენტებიც), რის გამოც რაიმე მოულოდნელი გარემოვლენის შემთხვევაში შეიძლება ხელიდან გაექცეს პროცესთა მართვა და, ამრიგად, თავის გაუაზრებელ და ამბიციურ ქმედებებს შეეწიროს. ამას გათვალისწინება და დაფიქრება უნდა. ამ თვალსაზრისითაც უყურებენ მსოფლიოს ბიოლოგები დინოზავრების გადაშენების ფაქტს.

**შალვა საბაშვილი,**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 25




## ვალენტინობას ცხოველებსაც ულოცავენ

**დიდ ბრიტანეთში**, აღმოსავლეთ სასექსის ზოოპარკში Drusillas კაპიბარების წყვილს ვალენტინობის აღსანიშნავად რომანტიკული ვახშამი მოუწყვეს.

ცხოველებს კლემენტინა და ავგუსტი ჰქვიათ. ზოოპარკის თანამშრომლების განმარტებით, კლემენტინა ყოველთვის სიამოვნებით შედიოდა კონტაქტში ხალხთან, თუმცა ცხოველებთან ურთიერთობა უჭირდა. ყველაფერი ავგუსტის გამოჩენის შემდეგ შეიცვალა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ის კლემენტინასადმი ყურადღებას იჩენდა და ყველას გაუკვირდა, როცა თებერვალში წყვილმა ერთად დაიწყო ცხოვრება. შეყვარებულებს მხარდასაჭერად, ზოოპარკის თანამშრომლებმა 14 თებერვალს მათ განსაკუთრებული ვახშამი მოუწყვეს. ვოლიერში აუზთან პატარა მაგიდა დადგეს, რომელსაც თეთრი სუფრა გადააფარეს და ბაფთებით, გულებითა და ყვავილებით მორთეს. ვერცხლისფერ სინზე კი ყველაზე დიდი მღრღნელების საყვარელი საკვები — უმი ბოსტნეული იდო.

## მარსის ზედაპირის ახალი ფოტო

**ევროპის** კოსმოსურმა სააგენტომ და რუსულმა „როსკოსმოსმა" მარსის ზედაპირის ახალი ფოტო გამოაქვეყნეს. ფოტო ორბიტალური აპარატის ExoMars Trace Gas-ის ბორტზე არსებულმა კამერამ ჩასსის-მა 2021 წლის 1 თებერვალს გადაიღო. მასზე გამოსახულია „ქაოტური რელიეფის" ერთ-ერთი ზონა. საერთო ჯამში მარსზე 30-მდე ასეთი ზონაა აღმოჩენილი.



## 17-მეტრიანი მკვლელი ტალღა

**ახალმა** კვლევამ დაადასტურა, რომ 2020 წელს, ვანკუვერის კუნძულთან ნანახი მკვლელი ტალღა რეკორდულად მაღალი იყო. ტალღას უკლულეტა დაარქვეს და მისი სიმაღლე 17, 6 მეტრი იყო. საბედნიეროდ, მას ნგრევა და მსხვერპლი არ გამოუწვევია.

მკვლელი ტალღების ფენომენი მდგომარეობს იმაში, რომ მათ ანომალიურად დიდი აბსოლუტური სიმაღლეები ახასიათებს და ისინი მოულოდნელად ჩნდებიან. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე წყნარი ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილში ტალღების სიმაღლე უფრო გაიზრდება, ასე რომ უკლულეტას მსგავსი ტალღები რეგიონში კიდევ არაერთხელ გამოჩნდება.

## მოჩვენება-ზვიგენი

**ახალ ზელანდიაში**, სამხრეთის კუნძულის სანაპიროსთან, იპოვეს ახლადდაბადებული ზვიგენი, რომლის სახეობაც, როგორც წესი, მხოლოდ ოკეანის ფსკერთან ახლოს ბინადრობს. ქიმერა, რომელსაც მოჩვენება-ზვიგენსაც ეძახიან, წყლის ზედაპირიდან 1,2 კილომეტრის სიღრმეში იპოვეს. „ღრმა წყლის სახეობები, როგორც წესი, ძნელად მისაკვლევია. მოჩვენება-ზვიგენები განსაკუთრებით იდუმალნი არიან. ამიტომ, მათ ხშირად ვერ ვხედავთ", — განაცხადა მკვლევართა ჯგუფის წევრმა, ბრიტ ფანუჩიმ.

ზვიგენის ამ სახეობის ემბრიონები ზღვის ფსკერზე, კვერცხის გარსში ვითარდება და იკვებება იმ საკვებ ნივთიერებათა მარაგით, რომელიც თავად გარსშია. მოჩვენება-ზვიგენები ჩვეულებრივ ზვიგენებს არ ჰგვანან, თევზის სახეობას მიეკუთვნებიან. მათი ჩონჩხი ხრტილოვანია და არაა აგებული ძვლოვანი ქსოვილისგან.



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ სოლომონიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 05.32.01.243.01.01.016).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30049.9 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 15 თებერვალი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 2 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP77149122;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 771491

6. **მოვალე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP77149122; ლოტის ნომერი: 771491).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 2 მარტის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დიანა ოზმანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი (საკადასტრო კოდი: 81.10.29.479).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4793.33 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 15 თებერვალი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 28 თებერვალი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP77145022;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 771450

6. **მოვალე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP77145022; ლოტის ნომერი: 771450).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 28 თებერვლის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დემაგული ზვანბაიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დემაგული ზვანბაია (პ/ნ 62006000146), ქ. თბილისი, უწერას ქ. №11, ბინა №60

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, უწერას ქ. №11, სართული 2, ბინა №40 (საკადასტრო კოდი: 01.11.01.017.022.01.040).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16326.36 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 15 თებერვალი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 2 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP77148822;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 771488

6. **მოვალე:** დემაგული ზვანბაია (პ/ნ 62006000146), ქ. თბილისი, უწერას ქ. №11, ბინა №60;

ზვიად ზვანბაია (პ/ნ 62006063392), ქ. თბილისი, უწერას ქ. №11, ბინა №60.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP77148822; ლოტის ნომერი: 771488).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 2 მარტის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გრიგოლ ყიფიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გრიგოლ ყიფიანი (პ/ნ 18001006272), ქ. ზესტაფონი, ძმები ათონელების ქ. №26ა

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ზესტაფონი, ძმები ათონელების ქ. №28ა (საკადასტრო კოდი: 32.10.31.277).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14787.21 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 15 თებერვალი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 2 მარტი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP77145122;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 771451

6. **მოვალე:** გიორგი ყიფიანი (პ/ნ 18001062092), ქ. ზესტაფონი, ძმები ათონელების ქ. №24;

ლანა ყიფიანი (პ/ნ 18001067077), ქ. ზესტაფონი, ძმები ათონელების ქ. №24.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP77145122; ლოტის ნომერი: 771451).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 2 მარტის 10:00 საათამდე.

ხუთი რგოლი

# ანასტასია ფინალშია!



**პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით მოასპარეზე ანასტასია გუბანოვამ მოკლე პროგრამაში მე-10 ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალურ სრიალში 18 გამომსვლელის შემდეგ ანასტასია პირველ პოზიციაზეც კი იმყოფებოდა.**

გუბანოვამ ყველა ელემენტი კარგად შეასრულა და მსაჯებისგან 65.40 ქულა დაიმსახურა. 19 წლის ფიგურისტი რიგით მე-9 იყო, მის წინ გამოსული რვავე სპორტსმენი უკან ჩამოიტოვა და მას შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებდა. ანასტასიამ შესრულებულ ელემენტებში 34.43 ქულა, ხოლო პრეზენტაციაში 30.97 ქულა დაიმსახურა.

როგორც ვახსენეთ, საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენი 18 გამომსვლელს შორის პირველ პოზიციაზე იყო, საბოლოოდ კი 30 მონაწილეს შორის მე-10 ადგილი დაიკავა და ფინალურ პროგრამაში იასპარეზებს, რომელიც დღეს თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ანასტასია გუბანოვამ გუნდურ ტურნირში საქართველოს 67.56 ქულა მოუტანა, რაც ჩათვლაში მეოთხე იყო.

რაც შეეხება ელიტას, ლიდერობს რუსი **კამილა ვალიევა,** რომელიც, მართალია, დოპინგსკანდალის შემდეგ დაუშვეს ყინულზე, მაგრამ თუ მედალს მოიპოვებს, დაჯილდოება არ გაიმართება.

ოკეანის გაღმა



# ქართული ჯახი

**ნბა-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს აღსანიშნავი ფაქტი მოხდა — ერთ-ერთ ეპიზოდში ერთმანეთის პირისპირ პარკეტზე სანდრო მამუკელაშვილი და გოგა ბითაძე იდგნენ. მეტიც — ამ უკანასკნელმა თამაში, ბოლოდროინდელი სასიკეთო ტრადიციის თანახმად, სასტარტო ხუთეულში დაიწყო.**

რაც შეეხება შეხვედრის შედეგს, მოქმედმა ჩემპიონმა „მილუოკიმ" „ინდიანას" ზედიზედ მე-7 მარცხი აგემა — 128:119.

ქართველ ლეგიონერთა პირადი სტატისტიკა; ბითაძე — 25 წუთში 12 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი. მამუკელაშვილი — 10 წუთში 6 ქულა, 2 მოხსნა. იმავე დღეს ყველაზე დრამატულად მოვლენები „მინესოტასა" და „შარლოტის" ბრძოლაში განვითარდა, რომელშიც „მგლებმა" ბოლო პერიოდში 9-ქულიანი ჩამორჩენა ამოქაჩეს, დამატებით დროში კი გაიმარჯვეს კიდეც — 126:120.

# — საფეხბურთო მოზაიკა —

**ერთი გამარჯვება, 1 ფრე და 3 წაგება — ასეთია შოთა არველაძის სამწვრთნელო დებიუტის შედეგი ფეხბურთის სამშობლოში.**



უკანასკნელი ქულა ჩვენი თანამემამულის გუნდმა „ჰალმა" ჩემპიონშიფის მერვეადგილოსან „შეფილდთან" სტუმრად მოიპოვა და მე-20 ადგილზეა. რაც მთავარია, „ვეფხვები" სოლიდური 13-ქულიანი ქულათა მარაგით არიან დაცილებულნი გასავარდნი ზონიდან, გაისად კი, როგორც „ტყუპის" ნისლიან ალბიონზე გადაბარგებისას დაანონსდა სურვილის სახით, ვიმედოვნებთ, პრემიერლიგაში დასაბრუნებლადაც იბრძოლებენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ამბიცია გააჩნიათ პროვინციული კლუბის ახალ შეფებს.

* * *

**ორთვიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა საფრანგეთის დედაქალაქში გამართული პლეი-ოფის სუპერმატჩით გაიხსნა: „პარი სენ-ჟერმენი" — „რეალი", რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 1:0.**

აქამდე მეტოქეთა 10 შეხვედრაში „სამეფო კლუბი" მინიმალურ უპირატესობას ფლობდა — 4 მოგება, 3 ფრე და ამდენივე დამარცხება, ასე რომ, საპასუხო მერვედფინალური რაუნდის წინ ბალანსი გათანაბრდა.

ესპანურ გრანდთან საკუთარი ანგარიშები ჰქონდა ლეო მესის, რომელსაც 45 თამაშში 26 გოლი ჰქონდა გატანილი. არგენტინელს პირადი შთამბეჭდავი სტატისტიკის გაუმჯობესების შესანიშნავი შანსი მას შემდეგ მიეცა, რაც კილიან მბაპემ პენალტი გამოიმუშავა, მაგრამ მისი დარტყმის მიმართულება სტუმართა ბელგიელმა მეკარემ ტიბო კურტუამ გამოიცნო და ბურთი მოიგერია. სიმბოლურია, რომ პირველი რაუნდის ბედი 94-ე წუთზე სწორედ მადრიდელთა მომავალმა სავარაუდო შენაძენმა გადაწყვიტა, ხოლო ყოფილ პარტნიორთა წინააღმდეგ ტრავმის გამო ვერ შეძლო გამოსვლა სერხიო რამოსმა.

აღსანიშნავია, რომ პარიზელებს ახალგამოჯანმრთელებული ნეიმარი დაუბრუნდათ, რომელიც მინდორზე შემცვლელად შევიდა. მოკლედ, პირენეებზე მძაფრი განმეორებითი ჯახია მოსალოდნელი.

რაც შეეხება დღის მეორე უთანასწორო ბრძოლას, „სიტიმ" პირველივე ტაიმში დასცა ბეჭებზე ლისაბონის „სპორტინგი" — 4:0 (ბერნარდო სილვამ თანამემამულეებთან დუბლი შეასრულა, რასაც მაჰრეზმა და ფოდენმა თითო ზუსტი გასროლა წაამატეს), მე-60 წუთზე კი პორტუგალიელთა რბევას შორეული შედევრით წერტილი სტერლინგმა დაუსვა.

* * *

**პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი: „მანჩესტერი" — „ბრაიტონი" 2:0.**



მეზობლად

# მედლები ირანიდან



**საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, შავი ქამრის მეხუთე დანის მფლობელი მზეჭაბუკ მახარაძე უმაღლეს დონეზე 2000 წლიდან ასპარეზობს და უკვე 100-მდე ყველა სინჯის მედალი აქვს მოპოვებული.**

ახალი სეზონი პროფესიონალმა ვეტერანმა მორიგი წარმატებით გახსნა, რომელსაც თეირანში მიაღწია, სადაც ირანის კარატეს ფედერაციის ორგანიზებით გამართულ მე-17 ტრადიციულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში ჯილდოებისათვის 15 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი იბრძოდა.

ამჯერად ჩვენმა თანამემამულემ უფროსთა კატეგორიაში ინდივიდუალურ კატაში მოხვეჭილი „ვერცხლით" გაგვახარა. ჩვენი გუნდის მეათე გამოსვლა მეზობელ სახელმწიფოში კიდევ უფრო შთამბეჭდავად დაასრულა 15 წლის **ნიკა შერმაზანაშვილმა,** რომელმაც 65 კილოგრამამდე წონაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეში.

ოვალური ბურთი

# სოჭში, 6 მარტს

**„შავი ლომი" 2021/22 წლების რაგბი ევროპის სუპერთასის ჯგუფური ეტაპის ბოლო, გადადებულ შეხვედრას 6 მარტს სოჭში გამართავს.**

ქართველთა მეტოქე რუსეთის ბოლო 5 წლის უცვლელი ჩემპიონი კრასნოიარსკის „ენისეი" იქნება და თამაში „სლავა მეტრეველის სტადიონზე" თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.



მატჩი სოჭში 30 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ კოვიდპანდემიის გამო რუსეთმა მაშინ საზღვრები ჩაკეტა და "შავი ლომი" დანიშნულების ადგილზე ვერ ჩავიდა.

5-5 თამაშის შემდეგ სუპერთასის ნახევარფინალში ორივე გუნდია გასული, თუმცა ჯერ არ გადაწყვეტილა ვინ დაიკავებს აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილს და შესაბამისად, ვინ ისარგებლებს ერთრაუნდიან ნახევარფინალში მასპინძლის სტატუსით.

„შავმა ლომმა" რუსეთის ჩემპიონი ავჭალაში 27:20 დაამარცხა, ჯამში 20 საცხრილო ქულა აქვს და პირველ ადგილზეა, ხოლო „ენისეი" მას 4 ქულით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის სუპერთასის აღმოსავლეთ კონფერენციის პირველადგილოსანი ესპანურ „იბერიანზს" უმასპინძლებს, მეორეადგილოსანი კი „ლუზიტანუშს" პორტუგალიაში ეწვევა.

ნახევარფინალური შეხვედრები 16 აპრილსაა ჩანიშნული, ხოლო ფინალი 8 მაისს გაიმართება.

პიროვნება

# საკუთარი პრინციპებისთვის

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა BBC-ის ინტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ საკუთარი პრინციპების დასაცავად მზადაა ნებისმიერ ტიტულზე თქვას უარი.** როგორც სერბმა აღნიშნა, მისთვის შინაგანი ჰარმონია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩოგბურთის თამაში, თუმცა, ამავდროულად, მომავალში ვაქცინის გაკეთება მაინც არ გამორიცხა.



**„მზად ვარ ჩემი პრინციპებისთვის ტიტულებიც გავწირო და შემიძლია ამ საფასურის გადახდა. არ ვარ ვაქცინაციის წინააღმდეგი, მაგრამ მხარს ვუჭერ თავისუფლებას. ყველა ადამიანს აქვს უფლება, გადაწყვიტოს როგორ მოექცეს თავის სხეულს.**

**იმედი მაქვს, რომ სპორტსმენების მიმართ მოთხოვნები შეიცვლება. მინდა, კიდევ ბევრი წლის განმავლობაში ვითამაშო, მაგრამ ჩემი რწმენის გულისთვის მზად ვარ სპორტულ ამბიციებს თავი დავანებო. ჩემი სხეული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ტიტული. ჩემთვის შინაგანი ჰარმონია უფრო ფასეულია, ვიდრე კონკურენცია.**

**ამავე დროს მზად ვარ მომავალში შესაძლო ვაქცინაციისთვის, რადგან მინდა, პანდემია რაც შეიძლება მალე დასრულდეს. დეკემბერში კორონავირუსი მეც მქონდა. კოვიდი არ არის კომფორტი ან ბედნიერება, მილიონობით ადამიანი იტანჯება ამის გამო და ამ ავადმყოფობას სერიოზულად ვუყურებ",** — თქვა ჯოკოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩს იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება აუცრელობის გამო მოუწია, რადგან ავსტრალიის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

# ქართული მხატვრობის რაინდი

## გივი თოიძის ხსოვნას

**საქართველოს მხატვართა შემოქმედებითმა კავშირმა კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და დავით კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, „ღირსების“ ორდენის კავალერი და „ქართული კულტურის რაინდის“ საპატიო წოდების მფლობელი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი გრიგოლ (გივი) თოიძე.**

**თოიძეების შემოქმედებითი საგვარეულოს გამორჩეული წარმომადგენელი, თავისი სახელგანთქმული პაპის მოსე თოიძის მსგავსად, გივი თოიძე, უპირველეს ყოვლისა, ფერით მწერალი იყო (როგორც თავად უყვარდა ხაზგასმით აღნიშვნა), შემდეგ მონუმენტალისტი და გრაფიკოსი. ფერწერის შემდეგ, მისი დიდი გატაცება მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ 1981 წელს შესრულებული ფრესკული მხატვრობა ბიჭვინთის საკონფერენციო დარბაზში და ასევე ფერწერული პანო დიმიტრი გულიას სახელობის ბიჭვინთის ლიტერატორთა სახლში, რისთვისაც მხატვარს, ქართველ მხატვართა შორის ერთ-ერთ პირველს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.**



**გივი თოიძე დაიბადა თბილისში 1932 წელს, მამა — ვახტანგ თოიძე მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა და ობლად დარჩენილ და-ძმას დედა ზრდიდა. პატარა გივის მხატვრობისადმი გამოვლენილი ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენია მხატვრის ბაბუის ძმას — სახელგანთქმულ მხატვარ მოსე თოიძეს, რომელიც პატარა გივისთვის რჩევებს არ იშურებდა. მან ძალზე გაიხარა, როდესაც შეიტყო, რომ ჭაბუკმა მტკიცედ გადაწყვიტა ხატვას გაჰყოლოდა და იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში ჩააბარებინა. შემდეგ იყო თბილისის სამხატვრო აკადემია, სადაც გივი თოიძეს 1954-60 წწ. ასწავლიდნენ ისეთი შესანიშნავი მხატვრები, როგორებიც იყვნენ: სერგო ქობულაძე, ვასილი შუხაევი, დავით (დუდა) გაბაშვილი, გიორგი ჯაში, კორნელი სანაძე და სხვები. კორნელი სანაძის ხელმძღვანელობით შესრულებულმა სადიპლომო ნამუშევარმა „რუსთავის მეტალურგები-ბრიგადის ცვლა“, მიუხედავად იდეოლოგიური ნარატივისა, გამოავლინა გივი თოიძის ხელწერისათვის ასე დამახასიათებელი-ფერით მეტყველების და კომპოზიციური აგების თავისუფლად ფლობის უნარი, რამაც, თავის მხრივ, დამოუკიდებელ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული მხატვრის მომავალი წარმატებები განსაზღვრა.**

**1960 წლიდან დაიწყო გივი თოიძის ძალიან აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება. 1964 წლიდან იგი არა მხოლოდ საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი ხდება, არამედ მხატვართა კავშირის მდივნის პოზიციასაც იკავებს. იგი აქტიურად მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ აღსანიშნავია: „საბჭოთა ფერწერა იაპონიაში“ (1967); „საბჭოთა ფერწერა ლონდონში — სამეფო აკადემიაში“(1970), ამიერკავკასიის მხატვართა ბიენალე თუ გამოფენა იტალიაში (1989). მხატვარი მონაწილეობდა ქუთაისის და პოლონეთის საერთაშორისო პლენერებზე, უნგრეთის მსოფლიო სამონადირეო გამოფენაზე (1971), ბულგარეთის გამოფენა-კონკურსში და სხვა მრავალ ჯგუფურ, თუ პერსონალურ გამოფენებში. გივი თოიძე ბევრს მოგზაურობდა როგორც საქართველოს მთასა და ბარში, ისე უცხოეთის ქვეყნებში, ამ მოგზაურობათა შედეგად მან შექმნა მრავალი მნიშვნელოვანი ფერწერული თუ გრაფიკული ქმნილება: „ზამთარი“, „ხევსურეთი“, „მთა-თუშეთი, „მეთევზეები“, „ქართული პასტორალი“, „შემოდგომა“, „ქართული მიწის მადლი“, „ახალი ცხოვრების დილა“ და სხვა.**

**მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა ძველი თბილისის ქუჩებისა და ქუჩაბანდების მონახულება, სადაც პლენერზე ფერწერულ ეტიუდებს, თუ გრაფიკულ ჩანახატებს აკეთებდა. ეს სიყვარული სახელგანთქმულმა პაპამ — მოსე თოიძემ ჩაუნერგა, — ჩუღურეთი მოინახულეო, არაერთხელ უთქვამს და გივი თოიძეც ამ სიყვარულით შთაგონებული ქმნიდა ძველი თბილისის კოლორიტულ უბნებს, სახლებს, რომელთაგან მრავალი გივი თოიძის ფერწერამ შემოინახა: „ძველი თბილისი“, „საყვარელი ქუჩა“, „ნარიყალა“, „იდგნენ და ელოდნენ“. გივი თოიძის ნამუშევრები დღეს მრავალ მიზეუმს ამშვენებს, მათ შორის: შ. ამირანაშვილის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, საქართველოს რეგიონალურ მუზეუმებს, მოსკოვის ტრეტიაკოვის სახელობის სახელმწიფო მუზეუმსა და აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმს, ოდესის, ლვოვის ხელოვნების მუზეუმებს, გერმანიის პიტერ ლუდვიგის გალერეას და სხვა. მისი პეიზაჟები თუ ნატურმორტები, თემატური სურათები, თუ პორტრეტები სახელმწიფო სამუზეუმო ფონდსაცავების გარდა, კერძო კოლექციებსაც ამდიდრებს, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის კერძო კოლექციას. გივი თოიძე, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მხატვარი იყო, ჩინებული ორატორი, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი და არაჩვეულებრივი მეგობარი გახლდათ. გვახსენდება ბატონი გივის სიტყვები, რომელიც მან თავისი ახლო მეგობრის მიტო ხახუტაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქვა: „მე დამაკლდა უფროსი მეგობარი, ჩაქრა, რომ იტყვიან, შუქი ერთ წამში, რომ ქვრება, ისე ჩაქრა“. ჩვენც იგივე სიტყვებით ვეთხოვებით, ჩვენს უფროს მეგობარს, ქართული მხატვრობის რაინდს ბატონ გივი თოიძეს და ნუგეშად ის გვრჩება, ისევ მისივე სიტყვებით, რომელიც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბრძანა: „წავა ცხოვრება, მეც წავალ და აღარ ვიქნები, მაგრამ დარჩება აქ, ამ ნათელ სივრცეში ჩემი ნახატები და მეც დავრჩები...“**

**დიახ! — ბატონო გივი, თქვენ დარჩებით, რადგან თქვენი სახელი არ მიეცემა დავიწყებას და ჩაიწერება ოქროს ასოებით ქართულ ი ფერწერის ისტორიაში.**

**საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი კავშირი**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!



**გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი, ლეგენდარული ვეტერანი ფეხბურთელი**

## ილია დათუნაშვილი

**საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ილია დათუნაშვილის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, კოლეგებს და ფეხბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.**

**იური, რუსიკო, გუგა და კოკი ოსიპოვ-ჭავჭანიძეები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ სერგო დოლიძეს მამის, ცნობილი ბათუმელი კაცის**

## თამაზ დოლიძის

**გარდაცვალების გამო.**

## გენადი ბესტაევი გარდაიცვალა



**ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან თბილისში გადმოყვანილი გენადი ბესტაევი გარდაიცვალა. ის დაახლოებით 2 თვის განმავლობაში რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული. ამის შესახებ ინფორმაციას ანტისაოკუპაციო მოძრაობის ლიდერი, დავით ქაცარავა ავრცელებს.**

ბესტაევს ნოემბერში ცხინვალის ე.წ. ციხეში ინსულტი განუვითარდა და მისი მდგომარეობა კრიტიკულად შეფასდა. ბესტაევი რუსმა სამხედროებმა სოფელ ზარდიაანთკარიდან 2019 წლის 19 ნოემბერს გაიტაცეს. დე ფაქტო რეჟიმმა მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. უსაფრთხოების კომიტეტის განცხადებით, დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ბესტაევი ავადმყოფობის გამო შეიწყალა.

## საპენსიო აქტივების ღირებულებამ 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა

**15 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 2.096 მილიარდი ლარია. აქედან, საინვესტიციო საქმიანობის შედეგად დარიცხული სარგებელი 292 მილიონი ლარია,** — ინფორმაციას საპენსიო სააგენტო ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, მიმდინარე წლიური მომგებიანობა — 11.6%, ხოლო ფონდის გაშვების დღიდან მომგებიანობა 33%-ს შეადგენს.

**„პორთფელის 36% ცვალებად საპროცენტო განაკვეთში (მიმდინარე სარგებლიანი ანგარიშები), ხოლო 64( ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში (სადეპოზიტო სერთიფიკატები) 100% ლარში, 9 კომერციულ ბანკშია განთავსებული“,** — აღნიშნულია სააგენტოს განცხადებაში. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა ოდენობა 1 250 000-ია. დაგროვებითი პენსიით კი, ამ დროისთვის 1,524-მა ადამიანმა ისარგებლა.

## ახალი ავიაკომპანია ქართულ ბაზარზე

**მაისიდან, საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირებას ახალი ავიაკომპანია Condor Airlines-ი იწყებს. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს. მათ გერმანულ ავიაკომპანიასთან მოლაპარაკებების საბოლოო რაუნდი წარმატებით დაასრულეს.**

Condor Airlinesპირდაპირ რეგულარულ ფრენებს ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტის საჰაერო ხაზზე კვირაში ორი სიხშირით განახორციელებს. ბილეთების შეძენა ავიაკომპანიის ვებგვერდზე უკვე შესაძლებელია. საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის თამარ არჩუაძის განცხადებით, Condor-ის შემოსვლა ავიაბაზარზე განსაკუთრებით ტრანსატლანტიკური ტრანზიტული ფრენების მიმართულებით არის მნიშვნელოვანი.

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**




**კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შესვლით, მსოფლიო ინტერესის საგანი გახდა. საერთაშორისო კორპორაციამ Гугл საქართველოში არსებული UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ ინტერაქტიული გამოფენა საკუთარ შემეცნებით პლატფორმაზე „Arts and Culture" განათავსა.**

აღნიშნულ პლატფორმას წელიწადში 350 000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. პლატფორმაზე განთავსებულია ფოტო-ვიდეომასალები, რომლის ფორმატიც დამთვალიერებელს შესაძლებლობას აძლევს, ვირტუალურად იმოგზაუროს და აღმოაჩინოს საქართველოს უნიკალური ბუნება. გუგლის შემეცნებით პლატფორმაზე საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის განთავსება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს და მისი ბუნებრივი მემკვიდრეობის ცნობადობის ზრდას და, შესაბამისად, ვიზიტორების დაინტერესებას და მოზიდვას.

2021 წელს, საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების" სახელით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, მთა ეტნას, შვეიცარიის ალპების გვერდით.



## მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული ქალაქები

**ამერიკულმა კომპანიამ We-Thrift-მა მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული ქალაქები დაასახელა. რეიტინგის სათავეში ლონდონი აღმოჩნდა, მას მოჰყვება პარიზი და ბარსელონა.**

ექსპერტები აფასებდნენ რესტორნების, პარკების, სპა-სალონების, ღირსშესანიშნაობების, შეყვარებულთათვის განკუთვნილი სასტუმროების რიცხვს და ქალაქის ჰეშთეგით Instagram-პოსტების რაოდენობას.

**რეიტინგის საუკეთესო ათეულში შემდეგი ქალაქები: 1. ლონდონი; 2. პარიზი; 3. ბარსელონა; 4. ტოკიო; 5. ნიუ-იორკი; 6. რომი; 7. სტამბოლი; 8. მოსკოვი; 9. დუბაი; 10. სინგაპური.**

## ორი ჭიქა ღვინო შაქარს ცვლის

**დიდ ბრიტანეთში, Alcohol Health Alliance-ის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შაქრის მაქსიმალური დღიური დოზის მისაღებად, საკმარისია, ადამიანმა დღეში 2 ჭიქა ღვინო მიირთვას.**

დამოუკიდებელი ლაბორატორიის მკვლევარებმა ბრიტანეთში ცნობილი ბრენდების წითელი, თეთრი, ვარდისფერი, ხილისა და ცქრიალა ღვინოები შეისწავლეს.

**„დადგინდა, რომ ზოგიერთი სახეობის ერთი ბოთლი ღვინო 59 გრამამდე შაქარს შეიცავს, რაც მომინანქრებულ დონატში შაქრის შემცველობასაც კი აღემატება",** — წერს BBC. 30-ზე მეტი შესწავლილი ბოთლიდან ეტიკეტზე არც ერთს არ ეწერა კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რადგან ამას კანონი არ ითხოვს. ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციის თანახმად, ზრდასრულმა ადამიანმა დღეში მაქსიმუმ 30 გრამი შაქარი შეიძლება მიიღოს. მკვლევარების თქმით, დღიური ლიმიტის მისაღწევად, საკმარისია, ადამიანმა საშუალო ზომის ჭიქით, ორჯერ მიირთვას ღვინო.



## ფოკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლა

**ზუგდიდში ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლა გაიხსნა. სალოტბარო სკოლაში ნებისმიერ მსურველს ქართული ხალხური სიმღერისა და ტრადიციული გალობის შესწავლა უფასოდ შეუძლია,** — ამის შესახებ ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.




მათივე ინფორმაციით, სკოლის გახსნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით კუხალეიშვილი და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე დაესწრნენ. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონებში სულ 29 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს.

## მარტიდან საკლუბო ინდუსტრია ამუშავდება

**საკლუბო ინდუსტრია საქმიანობას 5-6 მარტიდან განაახლებს, თუმცა ძალაში რჩება შეზღუდვა, რომლის თანახმად, კლუბებში სტუმართა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 60% დაიშვება.**

აღნიშნული გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ არსებული ეპიდემიოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით მიიღო. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთობის ხელმძღვანელს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა გააცნო. ილია დარჩიაშვილი დავით ლეჟავას მთავრობის ადმინისტრაციაში უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საოპერაციო შტაბის უფროს გიორგი ღიბრაძესა და ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ნინო კვეტენაძესთან ერთად შეხვდა.

## შვილთან ერთად პოპულარული ჟურნალის გარეკანზე



**სუპერმოდელი ნაომი კემპბელი შვილთან ერთად ბრიტანული Vogue-ის გარეკანზე გამოჩნდა.**

51 წლის მოდელმა თავისი 9 თვის შვილის სახე პირველად გამოაჩინა, ჟურნალთან ინტერვიუში კი თავის ახალ ამპლუაზე — დედობაზე ისაუბრა და შვილის შესახებ რამდენიმე დეტალი გაამხილა.

**„ნაშვილები არ არის, ჩემი შვილია",** — განაცხადა კემპბელმა. მისივე თქმით, ბავშვის დაბადების შესახებ ცოტა ადამიანმა იცოდა. **„შემიძლია თითებზე ჩამოვთვალო იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ბავშვის შესახებ მის დაბადებამდე იცოდა. ის უფლის საჩუქარია ყველაზე დიდი. ნამდვილად საუკეთესო რამ არის რაც ცხოვრებაში შემიქმნია",** — განაცხადა კემპბელმა. კემპბელმა პირველი შვილის დაბადების შესახებ საზოგადოებას მაისში აცნობა.

## დედის ალერგია ჯერარდაბადებულ შვილზე



**32 წლის ფიონა ჰუკერი ჰემფშირიდან ექიმებს უცხადებდა, რომ მუცელზე, ორსულობის მესამე ტრიმესტრში გამონაყარი გაუჩნდა, რომელიც საკმაოდ მტკივნეულია. New York Post წერს, რომ კვლევების შემდეგ დადგინდა - გამონაყარი არის დედის ალერგია საკუთარ ჯერ არდაბადებულ შვილზე.**

ორსულობის მერვე თვეზე ლაქები გადიდდა. აუცილებელი გახდა მედიკამენტოზური მკურნალობა, მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა, მაგრამ ბავშვის დაბადების შემდეგ, ყველგან სადაც მას ახალშობილი ეხებოდა მაშინვე უჩნდებოდა მტკივნეული წითელი ლაქები. კვლევების შედეგად ჰუკერს უიშვიათესი აუტოიმუნური დაავადება დაუდგინდა, რომლითაც 50 000 ორსულში ერთი იტანჯება. აღნიშნულ დაავადებაზე ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ მას სხვანაირად მართლაც უწოდებენ „დედის ალერგიას ნაყოფზე".

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 18 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.0276; ევრო - 3.4348;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1030;
100 რუბლი - 3.9339; თურქული ლირა - 0.2219;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7798;
1000 სომხური დრამი - 6.3428.

**ამინდი 17 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +9 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +12 |
| თბილისი: | ღამე | +1, | დღე | +10 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge